



# საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მუზეუმი

პარიოლი გამოცემა  
№ 3 (28). აგვისტო. 2017



"დუშეთი"

უცის

ნართელი

სამება

წმინდანთა

და სული

ნიკოლოზი".

წმიდა ნინო

"მცხეთან

მცხელანი

ეს უნი,

მწ მებეს

რთებითი,

მათ აღმართ

უძაბნი დებითი".

წმიდა მირიანი



გულითადად მივესალმებით სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის მიერ დაარსებული უურნალის, „სამთავროს მაყვლოვანის“, გამოცემას. მოხარულნი ვიქენებით, თუ მისი შემდგენელნი შეძლებენ, მკითხველს გააცნონ საქართველოში დაცული სიწმინდენი, ბერმონაზვნური ცხოვრების სიღრმე, აზრი და მნიშვნელობა; ის, თუ რა არის ჩვენი ეროვნული ფასეულობანი, როგორია ჩვენი ტრადიციები, ისტორია, ეთნოგრაფიული თავისებურებანი, ჩვენი ხალხური სიბრძნე.

ეს ყოველივე დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი საზოგადოების სულიერი და ინტელექტუალური დონის ამაღლებას და მათში ჭეშმარიტების გზით სვლის სურვილის გაღვივებას.

ღმერთმა და წმიდა ნინომ დალოცოს „სამთავროს მაყვლოვანის“ გამოცემელნი და მკითხველნი.

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო!

† ამა — ॥

სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი

ISSN 2346-7738

საბ (UDC) 27 + 271.2

8 – 407

	სამთავროს მონასტრი	მიმდევად მონასტრი
სამთავროს მონასტრი	სამთავროს მონასტრი	სამთავროს მონასტრი
სამთავროს მონასტრი	სამთავროს მონასტრი	სამთავროს მონასტრი
სამთავროს მონასტრი	სამთავროს მონასტრი	სამთავროს მონასტრი

მცხეთა. მირიან მეფის ქუჩა №3.  
ელ-ფოსტა: samtavrosmonasteri@yahoo.com  
ანგარიშის ნომერი: GE65BG0000000158107700

# სარჩევი

ამონარიდები კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებებიდან ..... 6
უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს გულოცავთ ანგელოზის დღეს! ..... 7
წმიდა ანთიმოზ ივერიელის ქადაგება უფლის ფერისცვალების დღეს ..... 8
სამთავროს ივერიის დვთისმშობლის ხატის შემომწირველი არქიმანდრიტი ილია (ფანცულაია) ..... 12
დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის წარმოთქმუ- ლი სიტყვა კათოლიკოს-პატრიარქის კირი- ონ II-ის დაკრძალვის დღეს ..... 19
უდიდესი უდიდესთა შორის ..... 21
„ჩვენ მრავალი წმინდანი გვყავს, მაგრამ ის განსაკუთრებით განსხვავდება“ ..... 24

რედაქტორი: თეა ცაგურიშვილი  
სტილისტი: სალომე ზვიადაძე  
დამკაბადონებელი: მაკა სიმონიშვილი

სარედაქციო კოლეგია:  
არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე), ილუმინია ქეთევანი (კოალიანი),  
ბერდიაკონი ილია (თვალიაშვილი),  
მონოზონი: სოსანა (ჯუპრეიშვილი), სერაფიმა (მეტრეველი),  
ნინო (სამსარაძე), ორანა (ნიშნიანიძე), მელანია (მამისაშვილი).

ღირსი მამა გაბრიელის მორიგი სასწაული ..... 29
წმიდა მამის საფლავი საუკუნეების შემდეგ გამოგვიჩნდა ..... 30
„ერთი მართალი კაცის ცხოვრება.“ ლადო ასათიანი 100 წლისაა ..... 33
ქართველების შესაწირი წმიდა ნიკოლოზს ..... 36
„ჩემო პატრიარქო“ ..... 38
„ჩვენო უფალთან მიმყვანებელო“ ..... 40
მორჩილება ყველაფერზე აღმატებულია ..... 42
მონასტრის ფოტომატიანე ..... 44

სამთავროს დედათა მონასტერი  
მადლობას უხდის და ლოცავს  
გამომცემლობა „შარავანდის“  
ხელმძღვანელს ბატონ  
თამაზ შარიქაძეს.



„განვებითა სამ-მნათობიერისა ი(ვთ)ისა, და წამისუოფითა ე(ოვლა)დ წმიდი-  
სა ი(ვთ)ის-მშობელისათა, მე, უნდომან მონამან მისმან, მ(ღვდე)ლ მონაზონმა  
ილია, ივერიის მონასტრის მმათაგანმა, შენდობითა სულიერისა მამისა ჩემისა,  
სქემონაზონი მაკარისა. დაგახატვინე წ(მიდ)ა ხატი ესე სახელ წოდებით სასწაულთ  
მოქმედი, დედა ი(ვთ)ისა ივერიის კარისა, და შევწირე მცხეთის სამთავრო ფერის-  
ცვალების, დედათა მონასტერისა, ვ(ითარც)ა მფარველად მიურულებელად, სარწმუ-  
ნოებითა და შიძითა ი(ვთ)ისათა მკვიდრთა მას შ(ინ)ა. ვასრულებ ჩ(ემ)ი წრფელი  
გულით დაპირებულსა, სულიერისა მმისა მ(ღვდე)ლ მონ. პავლე ჯაფარიძესა, ო(ო-  
მე)ლმან მაიმულა ამის სრულუოფად. ე(ოვლა)დ წ(მიდ)აო ი(ვთ)ის-მშობელო,  
მწე და მფარველ გვეყავნ, ამინ. ათონის მთა წ(მიდ)ა. ივერიის ქართველთა მონას-  
ტერი. 1912. ჩემი. წელსა.“



„ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვგრძნობთ და ვხედავთ სასწაულს ყოვლად-წმიდა დვთისმშობლის მფარველობისა. იმდენად დიდია წყალობა უფლისა საქართველოსა ზედა, რომ იგი გახდა წილხვედრი ყოვლადწმიდისა დვთისმშობლისა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ როცა ერს, ან ადამიანს ეძლევა დიდი მადლი, დიდი ნიჭი დვთისაგან, ბევრიც მოეთხოვება“.

„ყოვლადწმიდა დვთისმშობელი დედა ბრძანდება საქართველოს მფარველი, ბრძანდება შემწე და მეოხი ჩვენი წინაშე ძისა თვისისა და დვთისა ჩვენისა! დღეს განსაკუთრებით შევთხოვთ დვთისმშობელ დედას, დაიცვას და დაიფაროს თავისი წილხვედრი ქვეყანა, სრულიად საქართველო და გვიხსნას ხილული და უხილავი მტრებისგან! სიკეთით, რწმენით, სიყვარულითა და სასოებით აღავსოს თითოეული ჩვენგანის გული და გონება!“

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II**

## ამონარიდები კათოლიკოს-პატრიარქის 0701 ॥-ის ქადაგებებიდან

„ეპლესია ერთადერთი ადგილია ჩვენი გადარჩენისა; იგი კარიბჭეა მარადიული ნეტარი ცხოვრებისა. არ შეიძლება დაგვიანება, დაუშვებელია სულიერი განწმედის კიბეზე ზეალსვლის სამომავლოდ გადადება. არავინ იცის, რას გვიმზადებს ხვალინდელი დღე. მაშ, ნუ დავაყოვნებთ, გავხდეთ წევრი ქრისტეს ეკლესიისა და ვეზიაროთ იმ სიწმიდეთ, რასაც იგი ნათლობის, მირონცხების, აღსარების, ზიარებისა და სხვა საიდუმლოთა მადლით გვთავაზობს.“

\*  
\* \*

„უფალი იესო ქრისტე ბრძანებს: ვისაც უნდა შემოდგომა ჩემდა, უარყავ თავი შენი, აიდე ჯვარი შენი და შემომიდექ მე. რა ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც უარყოფს თავსა თვისსა და აიღებს ჯვარსა თავისასა. ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანი სხვის ჯვარს იღებს – რამდენად მძიმეა თავისი ჯვარი და უფრო მეტად მძიმეა სხვისი ჯვარი. უფალი აძლევს ადამიანს ჯვარს მისი ძალის მიხედვით. შევთხოვთ უფალს, რომ მოგვცეს ჯვარი ჩვენი – ის ჯვარი, რომელსაც ჩვენ ბოლომდე მივიტანთ; ის ჯვარი, რომელიც მსუბუქ არს ჩვენთვის, ის ჯვარი, რომელიც დვორის ნებით იქნება მოცემული ჩვენთვის.“

\*  
\* \*

„ძველი რომაელები ამბობდნენ: „დროი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთად“. მართლაც, რა სწრაფად იცვლება დრო და რა სწრაფად იცვლება თვითონ ადამიანიც. გავიხსნოთ, თუნდაც, ადამიანის შეხედულუბა ცოდვა-მადლზე. ცოდვა და მადლი მუდამ არსებობდა, მაგრამ ყველაფერს თავისი სახლი ერქვა, ცოდვა მუდამ ცოდვად მიაჩნდათ; ახლა კი იმდენად შეიცვალა ადამიანი, რომ დღეს, XXI საუკუნეში, ცოდვას ჩვეულებრივ მოვლენად, ადამიანის თვისებად აღიქვამენ.“

„ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი სხვისთვის სიხარულის მინიჭებაა. ალბათ, გამოგიცდიათ ის დიდი სიხარული, რასაც გაჭირვებულისათვის დახმარების გაწევა განგაცდევინებთ. ამ დროს გულში საოცარი მადლი ისადგურებს, რადგან ვგრძნობთ, რომ გაღებული მატურიალური შემწეობის ნაცვლად სხვა დიდი საუნჯე მოვიპოვეთ, ეს არის ის სულიერი სიხარული, რომელიც ადამიანს ღმერთთან აკაგშირებს.“

\*  
\* \*

„საქართველოს ეკლესია იყო, არის და მუდამ იქნება სული ქართველი ერისა. საქართველოს ეკლესია არის ის წმიდა სავანე, სადაც აღიზარდა, აღორძინდა და ფერი იცვალა ქართველი კაცის შინაგანმა სამყარომ. იგია კარიბჭე უფლის დიდებისა.“

\*  
\* \*

„მიწიერი ჩვენი ცხოვრება უდაბნოში მოგზაურობას ჰგავს. დღე-დღეს აუწყებს მარადიულობის კარიბჭესთან ჩვენს მიახლოებას; მთავარია, იქ წარვსდგეთ დირსეულად. დვორის დიდი წყალობაა, რომ არ ვიციო აღსასრულის დღე, რათა ყოველთვის გვახსოვდეს სიკვდილი და ყოველი დღე გავატაროთ ისე, თითქოს იგი იყოს უკანასკნელი.“

\*  
\* \*

„შევთხოვ დედა ღვთისას, მეოხს წინაშე უფლისა, რომ მან ჩვენს ერში რწმენა და სიყვარული გააძლიეროს, რადგან სწორედ რწმენა და სიყვარულია ის ორი ძალა, რომელსაც საქართველოს გადარჩენა შეუძლია.“

## უმიზიდესა და უნეტარესს ილია II-ს გულოცავთ ანგელოზის დღეს!

60 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ერისკაცობაში ირაკლი შიოლაშვილი, ბერად აღიკვეცა.

ბერობიდან პატრიარქობამდე, პატრიარქად კურთხევიდან დღემდე რთულ და წინააღმდეგობებით სავსე გზაზე ღირსეულად მოდის და ატარებს მძიმე ჯვარს, – „უმანკომ გულითა და მართალი ხელითა“, „სულითა უზაკველი და წრფელი გონებითა“ მთელი ქვეყნის სულიერობაზე ზრუნავს და მის ასაღორძინებლად იდგწის. ვისურვოთ, ხანგრძლივი სიცოცხლე მიჰმადლოს უფალმა ჩვენი ერისა და ეკლესის საკეთილდღეოდ.

გთავაზობთ პატრიარქის მოგონებას წიგნიდან „ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, პირადი წერილები, ჩანაწერები, ფოტოები“ ტომი I. 2016 წელი.

მე აღვიკვეცე მაშინ, როდესაც ბერობა ილეოდა საქართველოში.


მახსენდება ის დღე, როცა წმიდა ილია წინასწარმეტყველის სახელი მეტოდა. საქართველოს ეკლესიის საჭეომპყრობელი მაშინ უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკი ბრძანდებოდა. მან მეუფე ზინობს დაურეკა და უთხრა: „დღეს თქვენთან სტუდენტი მოვა და აღკვეცეთ ბერადო“. სხვა არაფერი უთქვამს. ჩემი აღკვეცა წმიდა ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში შედგა. დიდი მარხვის ბოლო კვირა, ვნების შვიდეულის სამშაბათი იყო. ჩემს აღკვეცას არ ესწრებოდა არც ერთი ქართველი. აი, ასეთ უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა იმ დროს საქართველოს ეკლესია. ერთ-ერთმა სასულიერო პირმაც იგივე მითხრა: თქვენ რომ ჩაიბარეთ საქართველოს ეკლესია, მას სუდარა ჰქონდა გადაფარებულიო. გარებულად თითქოს მართლაც ასე იყო, მაგრამ ზეციური საქართველოს შემწეობა ცხოვლად იგრძნობოდა, ყოველთვის ასე იყო, ასეა დღეს და ასე იქნება კვლავაც. ზეციური საქართველოს, ჩვენი დიდი წინაპრების, ზეციური მხედრიონის ლოცვა-ვედრება ჩვენი ეკლესიის ძლიერების აღსაღენად დმერთმა შეისმინა.



როცა აღკვეცისას მონაზვნება თავიანთი მანტიები გადამაფარეს, რატომდაც მეგონა, რომ „ერეკლეს“ მიწოდებდნენ. ჩვენს ოჯახში კარგად იცნობდნენ მეფე ერეკლეს ცხოვრებას და ჩემს მშობლებს ძალიან უყვარდათ იგი. სწორედ მის პატივ-საცემად დამარქებეს ირაკლი. გელოდებოდი, რა სახელს იტყოდნენ, მეუფე ზინობმა კი უეცრად წარმოთქა: „ილია“. ეს მოულოდნელი იყო ჩემთვის და თითქოს შევწუხდი კიდეც ამის გამო. სიტყვას, და მით უფრო, სახელს, აქვს საოცრად დიდი ძალა. როცა ბავშვს სახელს ვარქმევთ, აუცილებლად უნდა ჩავიხედოთ კალენდარში და გავიგოთ, რა მნიშვნელობა აქვს ამ სახელს, როგორ ითარგმნება იგი. „ერეკლე“ ნიშნავს ფიზიკურ ძალას, „ილია“ კი – დათის ძალას. საოცარი დამთხვევა მოხდა – ფიზიკური ძალა და დათის ძალით შეიცვალა. ეს იყო განგება და სა! წმიდა ილია წინასწარმეტყველის მფარველობას ბავშვობიდანვე ვარძნობდი. ჩემმა ბავშვობამ ვლადიკავკაზში განვლო. საბჭოთა პერიოდი იყო. დანგრეული იყო ყველა ეკლესია, გარდა წმიდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრისა. ბავშვები მშობლებთან ერთად სწორედ ამ ეკლესიაში დავდიოდით.

2 აგვისტო, 2004 წ. სონის საქართველო ტაძრი.

## შმიდა ანთიმოზ ივერიელის ქადაგება უფლის ვერისცვალების ღღეს



სამთავროს ფერისცვალების ქანკელის ხატი

„წარიყვანნა იქსო პეტრე და იაკობ და იოზანე, ძმად მისი, და აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თუსაგან. და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად და გაბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქნა სპოტაკ, ვითარცა ნათელი“ (მთ. 17:1-2).

რომ არ ყოფილიყო მზე სიმართლისა, ანუ ჭეშმარიტად ძე და სიტყვა მამა დმერთისა, უფალი ჩვენი იქსო ქრისტე, რომელიც აღვიდა და განათდა დღეს თაბორის მთაზე და გაბრწყინდა თავისი ღვთაებრიობის სხივებით, ვერ მისცემდა მიცვალებულებს სიცოცხლეს, როგორც მოსეს; ვერ განანათლებდა ცოცხლებს, როგორც ილიას; ვერ გააქრობდა ჰქვისა და წინააღმდეგობის ფიქრს მოციქულთა გონებიდან, ვერ ჩანერგავდა და განამტკიცებდა უფრო მეტ რწმენას მათ გულებში და ვერ ეჩვენებოდა მათ გაბრწყინებული, როგორც ჭეშმარიტი მესია.

ქრისტეს, უცოდველსა და უდანაშაულოს, თავისივე ნებით სურს სიკვდილზე წასვლა, რომ ადამიანებს მხოლოდ ის უყვარდეთ მთელი გონებით, გულითა და სულით, ხოლო სხვა ყველაფერი არარაობად ჩათვალონ. ამიტომ ჩვენც გვმართებს ისეთივე სიყვარული ქრისტეს მომართ, როგორიც ჰქონდათ მოციქულებს.

„შვილო, თუ უფალს მიეახლები სამსახურად, განსაცდელებისთვისაც გაამზადე თავი“ (ზირ. 2:1), ამიტომ ის, ვინც ემზადება ემსახუროს ღმერთს, განსაცდელებსა და ბრძოლებს უნდა ელოდოს ბოროტი ეშმაკისაგან, მაგრამ ამ დროს სასოწარკვეთილებაში კი არ უნდა ჩავარდეს, არამედ, პირიქით, ღვთისგან უნდა ელოდოს მეტ ძალასა და დახმარებას; ამ შემთხვევაში უფალი არ დაუშვებს განსაცდელის სიმძიმე მის ძალებს აღემატებოდეს.

ქრისტეს ფერისცვალების საიდუმლო დაეხმარა მოციქულებს, რომ არ ჩავარდნილიყვნენ ურწმუნოებაში. ისინი ხედავდნენ ქრისტეს უდიდესი თავმდაბლობით ცხოვრებას, უზომო გაჭირვებასა და სიდარიბეს, იმდენად მძიმეს, რომ ხშირად თავის მოსადრეკი ადგილიც კი არ ჰქონდა ჰურიებისაგან დევნილს. მათი ფიქრები, როგორც უბრალო და გაუნათლებელი ადამიანებისა, აიბნა, მათში დაიწყო ჰქვისა და ურწმუნოების შეპარვა, რომ იქსო არ არის ჭეშმარიტი მესია.

ამ ურწმუნოების უამს, მხოლოდ ქრისტეს, ძე ღვთისას უშვალო დახმარება თუ უშვალიდა მოციქულებს. ამიტომაც აიყვანა ისინი მთაზე და მათ წინაშე ფერი იცვალა და უჩვენა თავისი ღვთაებრივი ნათელი (რამდენადაც ამის დანახვა შესაძლებელია ხორციელი თვალისთვის). მაცხოვარმა განათლა და განადიდა კაცობრივი ბუნება, რომლითაც იყო შემოსილი. ამ ნათელით გაბრწყინდა მისი სამოსელიც, მიუხედავად იმისა, რომ ის იყო თავმდაბლი, გარეგნულად დატაკი, რომელსაც დევნიდნენ და რამდენიმე დღის შემდეგ

ჰურიების მიერ იქნებოდა შეურაცხყოფილი, დამცირებული, ნაცემი, ნაწამები, დაწყლულებული და ბოლოს ჯვარცმული, ვითარცა ბოროტმოქმედი. სწორედ ამ დროს მოციქულები მტკიცედ უნდა მდგარიყვნენ თავიანთ რწმენაში, არ უნდა ეფიქრათ, რომ იქსო მხოლოდ კაცია, არამედ უნდა სცოდნოდათ, რომ ის არის ჭეშმარიტი სრული ღმერთი. სწორედ ამიტომ იცვალა ფერი იქსომ მათ წინაშე.

ურწმუნოების განსაცდელისაგან რომ გადარჩენილიყვნენ, მოციქულებს მაცხოვრის დახმარება სამ რამეში სჭირდებოდათ: პირველი, საჭირო იყო ერწმუნათ, რომ ქრისტე არის ჭეშმარიტი მესია; მეორე, როდესაც დაინახავდნენ ჯვარცმულსა და მკვდარს, არ უნდა დაეკარგათ რწმენა, რომ ის არის ჭეშმარიტი ღმერთი; მესამე, უნდა მიეცა მათთვის მიზეზი, შეუვარებოდათ იგი მხერვალე სიყვარულით.

ამიტომ ვხედავთ, თუ რაოდენ დიდი დახმარება გაუწია საკუთარი ფერისცვალებით ქრისტემ მოციქულებს, რათა შეეცნოთ იგი, როგორც ჭეშმარიტი მესია. ამ მიზნით გახდა საჭირო სამი მოწმის: მოსეს, ილიასა და ზეციერი მამის დამოწმება. „და აჲ, ესერა, – მოგვითხობს მახარებელი, – ორნი კაცნი მის თანა ზრახვიდეს, რომელნი იყვნეს მოსე და ელია, რომელნი გამოჩნდეს დიდებითა და იტყოდეს განსვლასა მას მისსა, რომელი ეგულებოდა აღსრულებად იერუსალემს“ (ლპ. 9.30-31). და მამა ღმერთმა ღრუბლიდან დაამოწმა: „და ხმად იყო ღრუბლით გამო: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, ამისი ისმინეთ“ (ლპ. 9.35), რათა მოციქულები არ შესუსტებულიყვნენ საკუთარ რწმენაში, როდესაც მას ჯვარცმულს დაინახავდნენ. თავიდან იქსო ქრისტე ჯერ მოსეს და ილიას ესაუბრება მომავალ ჯვარცმასა და სიკვდილზე, უცხადებს მათ თავის ღვთაებრიობას, რომლითაც განადიდა კაცობრივი ბუნება.

ქრისტე არის მესია, მოსე არის სჯულმდგბელი, ხოლო ილია არის დიდი წინასწარმეტყველი; ქრისტე სოფლის მაცხოვარია, მოსე – პურიათა გადამრჩენელი, ხოლო ილია იქნა-

ბა მეორედ მოსვლამდე მართალთა მხსნელი. ქრისტე არის სჯულის მომცემი, მოსე არის სჯულის მასწავლებელი, ხოლო ილია არის სჯულის აღმსრულებელი.

ხედავთ, რა დიდებული თანამოსაუბრენი ჰყავს მაცხოვარს?! საინტერესოა ისიც, რომ მოსე მოკვდა, ხოლო ილია ცოცხალია. ნებავ, რას უნდა ნიშნავდეს ის, რომ ქრისტეს გამოცხადა ერთი წმიდანი მკვდრებიდან და ერთი წმიდანი ცოცხლებიდან? ეს იმიტომ, რომ მომავალი სამსჯავროს დროს განისჯებიან და ცათა სასუფეველში ერთად იქნებიან ნეტარებაში ის მართლები, რომლებიც მეორედ მოსვლის უამს იქნებიან ცოცხალნი, თუ მკვდარნი, რადგან ქრისტეს დღვევანდელი ფარისცვალების საიდუმლო წარმოადგენს ცათა სასუფევლის დიდების ერთგვარ წინასახეს. ამიტომაც იქნა გამოცხადებული ერთ-ერთი მიცვალებულთაგანი – მოსე და ერთ-ერთი ცოცხალთაგანი – ილია.

„და ეჩვენებ მათ მოსე და ელია“ (მთ. 17.3), ნეტავ რისთვის? ოთხი რამისთვის, – პირველი მიზეზი: ხალხში რომ გამქრალიყო ცრუ წარმოდგენა ქრისტეზე, თითქოს ის იყო ილია, იერემია, ან სხვა რომელიმე წინასწარმეტყველთაგანი. მეორე მიზეზი: ენახათ ჰურიებს, რომ ქრისტე არ არის მოსეს სჯულის წინააღმდეგი და ამიტომაც სიყვარულით ესაუბრება თავად სჯულმდებელ მოსეს და სჯულის აღმსრულებელ ილიას. მესამე მიზეზი: ეჩვენებინა, რომ თავად არის სიცოცხლისა და სიკვდილის მბრძანებელი, ცოცხლებისა და მიცვალებულების უფალი და როდესაც მათ უხმობს, ისინი მოდიან კიდევაც: „დადგნენ წინაშე შენსა, ქრისტე ღმერთო, ქუეყანისაგან მოციქული, ზეციდან ელია და ქუესკნელიდან მოსე“. მეოთხე მიზეზი: მოციქულებს უნდა ენახათ, თუ როგორ იყო განდიდებული ის ორი წინასწარმეტყველი: კერძოდ, მოსეს ჰქონდა დიდი სიმშვიდე და სიკეთე, ხოლო ილიას – სარწმუნოების დიდი მოშურნეობა, ამიტომ მოციქულებიც უნდა იყვნენ ისეთი კე მშვიდები, კეთილები და მოშურნეები იქ.

სადაც იქნება საჭირო რწმენის სიმტკიცე და ჭეშმარიტი ღმერთის თაყვანისცემა.

„და აპა ხმა იყო ღრუბლით გამო და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათხო-ვიყავ, მაგისი ისმინეთ“ (მთ. 17:5). ჰოი, რა ჭეშმარიტი და სარწმუნოა ეს მოწმობა! ჰოი, რა სიკეთე და ნეტარება მოიხვეჭეს იმათ, ვინც მოისმინა ეს მოწმობა და ზეციური მამის ბრძანების შესაბამისად გაჟყვა მაცხოვარს! ნეტავ, ეს სიტყვები, რომელიც წარმოსთქვა მამა ღმერთმა: „მაგისი ისმინეთ“, – ნათქვამი იყო მხოლოდ მოციქულებისთვის, თუ ჩვენთვისაც? მე მგონი, რომ ეს ჩვენთვისაც იყო ნათქვამი, რადგან ქრისტეანები ვართ და ქრისტეს მოწაფენი. „მაგისი იმინეთ,“ ანუ, რასაც გვიბრძანებს ქრისტე, უნდა დავემორჩილოთ და შევასრულოთ მისი ნებისაებრ, ჩვენი სულების სასიკეთოდ.

ქრისტე გვასწავლის: „ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ,“ ხოლო ჩვენ არ ვიღებთ დვთის მშვიდობას და მუდმივად ვშფოთავთ, როგორც ზღვის ტალღები ქარიშხლის დროს.

ქრისტე გვასწავლის: „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ“ (მთ. 7:1); ხოლო ჩვენ არც დღეს, არც დამეს და არცერთ საათს არ ვატარებთ, რომ ბოროტებით არ განვიკითხოთ არა მხოლოდ ისინი, ვისაც ვიცნობთ, არამედ უცნობებიც.

ქრისტე გვასწავლის: „ყოველი, რომელი გინდეს თქუენ, რათა გიყონ კაცთა, ეგრეცა თქუენ ჰყვით მათა მიმართ“ (მთ. 7:12); ხოლო ჩვენ გვსურს, რომ პატივს გვცემდნენ, თავს გვიხრიდნენ, საჩუქრებს გვჟუქნიდნენ, გვაქებდნენ, ჩვენზე კარგს ლაპარაკობდნენ, ყველა სურვილს გვისრულებდნენ; ბოროტებას რომც ჩავდიოდეთ, არავინ იღებდეს ხმას და არ გვეწინააღმდეგებოდეს. ჩვენ კი ამ დროს ყველას განვიკითხავთ, არავის არ ვეხმარებით, სიკეთეს არ ვუკეთებთ და არ გვსურს, ვინმემთხოვნით მოგვმართოს. ყველას ვლანძლავთ, ყველას ბოროტებით ვისხენებთ, ცილს ვწამებთ, ვიგდებთ მასხრად და დავცინით; ყველაზე ვლაპარაკობთ, რომ არიან გიჟები და

უგუნურები. მხოლოდ ჩვენი თავი მოგვაქს, როგორც ყველაზე ბრძენი, ღმერთზე უფრო მეტადაც კი და ვივიწყებთ, რომ ამა სოფლის სიბრძნე არის სისულეელე დვთის წინაშე.

ქრისტე გვასწავლის: „მცნებასა ახალსა მიგცემთ თქუენ, რათა იყუარებოდეთ ურთიერთარს, ვითარცა მე შეგიყუარეთ თქუენ, რათა თქუენცა იყუარებოდით ურთიერთარს“ (ინ. 13:34), ხოლო ჩვენ ერთმანეთი გვძულს და ვცდილობთ, ხელი ვკრათ ერთმანეთს, ჩვენ გვშურს ერთმანეთის, ბოროტებას ვუსურვებთ და ყველაფერს ვაკეთებთ, ზიანი რომ მივაყენოთ არა მხოლოდ სხვის ქონებას, არამედ მათ პატივსა და ღირსებას და ამით ჩავდივართ ცოდვას სულიწმიდის წინააღმდეგ. მაგრამ ღმერთს არ შეუქმნია ეს სამყარო მხოლოდ ერთი ადამიანისათვის, არამედ ყველასთვის, არც ცათა სასუფეველი შექმნილა ერთეულებისთვის, არამედ ყველასათვის.

ქრისტე გვასწავლის: „რომელსა სირცხვლ უჩნდეს ჩემდა მომართ, მას ძემანცა კაცისამან არცხვნოს, ოდეს მოვიდეს დიდებითა თუსითა“ (ლკ. 9:26), ხოლო ჩვენ არც ღმერთის გვრცხვენია, არც მის სიტყვებს ვისმენ; არ ვიცავთ რასაც გვასწავლიან ჩვენი სულისათვის საცხოვნებელსა და სასარგებლოს, უფრო მეტიც, სხვადასხვა საბაბს ვეძებთ, რომ თავი გავიმართლოთ, თითქოსდა არ შეგვიძლია იმის შესრულება, რასაც იესო ქრისტე გვასწავლის. ვითომ ოჯახებში გვაქს პრობლემებიო, დრო არ გვიწყობს ხელსო, და საერთოდ, გვაქს ბევრი მწუხარებაო. მაგრამ, როდესაც ჩვენი საკუთარი სურვილებისა და ახირებების შესრულება გვინდა, მაშინ როგორდა ვპოულობთ დროსაც და ყველანაირ საშუალებას მათ მისაღწევად?!“

ღმერთს არ ვემორჩილებით იმაში, რაც ჩვენი სულებისთვის სასარგებლო და კარგია, რადგან მისი მცნებები მძიმე და ცუდი გვგონია. ხოლო ადამიანებს, რომლებსაც არ ეშინიათ ღმერთის, არც ხალხის რცხვენიათ, ვუჯერებთ ყველაფერში და ვიღუპავთ სულებს.

ქრისტე გვასწავლის: „მიაგეთ კეისარს კეის-

რისა, ხოლო ღმერთს – ღმრთისა“ (მკ. 12.17), ხოლო ჩვენ არც საექლესიო, არც საერო უფროსებს, არც თავად ღმერთს არ ვემორჩილებით სიმართლით და არ ვცემთ მათ სათანადო პატივს. არამედ, სიყვარულის სანაცვლოდ, ბოროტებით და ცბიერებით ცილს ვსწამებო და ბოროტებით ვსაუბრობთ მათზე. „ღვთის მსაჯულებს ნუ შეურაცხყოფ და თავკაცს შენს ხალხში ნუ დასწყევლი“ (გამ. 22.27). წმიდა წერილის განმმარტებლები ღვთის მსაჯულებში გულისხმობენ ეკლესიის მღვდელმთავრებს, მოძღვრებსა და მასწავლებლებს, ხოლო თავაცებში – მეფეებსა და მსაჯულებს.

ხოლო ჩვენ ბოროტს ვიზე ვამბობთ, ვის აწყევლით და ვის ვწამებო ცილსა? რა თქმა უნდა, მღვდელმთავრებსა და მთავრებს. სწორედ მათზე, ვისზედაც ღმერთი გვასწავლის, რომ ბოროტად არ მოვიხსენიოთ. დავით წინასწარმეტყველი ბრძანებს: „დასდევ, უფალო, საცოდ პირსა ჩემსა“ (ფს. 140.3), ხოლო ჩვენ საერთოდ არა გვაქვს ღვთის შიში, რადგან ჩვენი გონება ღვთისა და ადამიანთა წინაშე ბოროტია; სწორედ ამიტომაა ჩვენი ცხოვრება დაწყევლილი, შფოთვარე, სავსე შიშითა და სიძულვილით, გაჭირვებებითა და მწუხარებით.

აჲა, ჩვენ გვამხელენ ჩვენივე საქმეები, რადგან არ ვემორჩილებით ქრისტეს, არც გვიყვარს ის, რადგან თუკი გვეყვარებოდა, შევასრულებდით მის მცნებებს. თითოეული ჩვენგანი იქცევა თვითნებურად, ჩავდივართ მხოლოდ იმას, რაც ჩვენ გვსურს და არ გვახსენდება არც სიკვდილი და არც სამსჯავრო. თუ ჩვენ არ გამოვასწორებთ ჩვენს ცხოვრებას, ჩვენი დასასრული ბოროტი იქნება.

ამიტომაც, ჩემო საყვარელნო, აღვმართოთ ჩვენი გონება თაბორისაკენ, ჩვენკენაც მოვიდეს ნათელი ჭეშმარიტი, ვიხილოთ ის სულიური თვალით, ვიყოთ მოციქულებივით ქრისტეს მიმართ სავსენი მოშურნეობითა და სიყვარულით, დაგემსგავსოთ მოსეს და ილიას მათ ღვაწლსა და ღვთის მცნებების აღსრულებაში, რათა ჩვენც ქრისტესთან ერთად ავმაღლდეთ სულიერ სიმაღლეზე, ვიხილოთ მისი



### წმიდა ანთიმოზ ივერიელი

დიდება, ნათელი ღრუბელი და ვისმინოთ მამა ღმერთის ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი“ (მთ.17.5); და ბოლოს, ღირს ვიქმნეთ მასთან ერთად შევიდეთ ცათა სახუფვეველში.

პოი, უფალო იქსო ქრისტე გევედრებით ჩვენ ულირსნი და ცოდვილნი მონანი შენნი, რომელნიც გამოგვისყიდე შენი უძვირფასესი სისხლით ცბიერი ეშმაკის ხელიდან, მოწყალე გვექმენ ჩვენ მრავლისა მოთმინებისა შენისათვის, შენი სიბრძნის ნათელით განგვინათლე დაბნელებული სულის თვალი, ჩვენს გაქვავბულ გულებში აღანთე შენი ცეცხლი და ღირს გვყავ მადლითა შენითა, რათა ვყოთ ნება შენი და მთელი სულით შეგიყვაროთ შენ ამ დაცემულ და მწუხარებით სავსე წუთისოფელში; ხოლო მომავალ ცხოვრებაში შენი ღვთაებრიობის ნათელისა და დიდების ხილვის ღირსად შევიქმნეთ, რომ მარადის გადიდებდეთ შენი დაუსაბამო მამით და ყოვლადწმიდით და სახიერით და ცხოველსმყოფელი სულითურთ, აწ და მარადის და უკუნით უკუნისამდე. ამინ!

**ანთიმოზ ივერიელი, წიგნიდან „დიდაქეგბი და სხვა თხზულებები“. თბილისი, 2016.**

## სამთავროს ივერიის ღვთისმშობლის ხატის შემომზირველი არქიმანდრიტი ილია (ზანცულაია)



საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ კომუნისტური ტერორის მძვინვარების უამს სასტიკი დევნა განიცადა. უღმერთო მთავრობამ ძალადობით დახურა ათასობით ტაძარი, დაპატიმრეს და დახვრიტეს მრავალი სასულიერო პირი და მათი სამწყსო. ბერმონაზვნებს აეკრძალათ მონასტრებში ცხოვრება. იყო დრო, როდესაც საქართველოს ყველა მონასტერი ოფიციალურად გაუქმებულად ითვლებოდა. ასეთ სავალალო პერიოდშიც კი არ შეწყვეტილა მონაზონთა წირვა-ლოცვა; დევნისა და შევიწროების მიუხედავად, სამთავროს სამონაზვნო დასმა შეინარჩუნა სამონასტერო წეს-განგება და თავისი ტრადიციები, მონასტერში დავანებული სიწმინდეები და ხატები, ძვირფასი ბიბლიოთეკა, ისტორიული საბუთები და ფოტოები. მათ შორის გამორჩეულია სამთავროს ივერიის ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც უკვე მთელ საქართველოში იცნობენ და პატივს მიაგებენ. ხატი 1912 წლიდან სამთავროს დედათა მონასტერშია დავანებული და მარად ნუგეშსა და კურნებას მოუფლენს სასოებით და რწმენით მვედრებელთ. ხატს ამკობს წარწერა:

„განგებითა სამ-მნათობიერისა ღვთისა და წამისყოფითა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისათა, მე, უნდომან მონამან მისმან, მღვდელმონაზონმა ილია, ივერიის მონასტრის მმათაგანმა, შენდობითა სულიერისა მამისა ჩემისა, სქემონაზონი მაკარისა, დავახატვინე წმიდა ხატი ესე სახელწოდებით სასწაულთმოქმედი, დედა ღვთისა ივერიის კარისა და შევწირე მცხეთის სამთავრო ფერისცვალების დედათა მონასტერსა, ვითარცა მფარველად მიურულებელად, სარწმუნოებითა და შიშითა ღვთისათა მკვიდრთა მას შინა. ვასრულებ ჩემი წრფელი გულით დაპირებულსა, სულიერის მმისა მღვდელმონაზონ პაჭლე ჯაფარიძისა, რომელმან მაიძულა ამის სრულყოფად. ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, მწე და მფარველ გვეყავნ, ამინ! ათონის მთა წმიდა. ივერიის ქართველთა მონასტერი. 1912. ჩშიბ. წელსა.“

ამჯერად გვინდა ყურადღება მივაპყროთ ივერიის ღვთისმშობლის ხატის მონასტრისადმი შემომწირველის ვინაობას. არქიმანდრიტი ილია, ერისკაცობაში იასონ ფანცულაია, 1884 წლის 20 ივლისს დაიბადა ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის სოფელ ველიდკარში, გლეხების სვიმონ და სალომე ფანცულაიების ოჯახში. იმავე წლის 28 ივლისს მონათლეს ბანძა-ვედიდკარის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში.

პატარა იასონმა ადრეული წლებიდან გამოიჩინა ნიჭიერება და მუყაითობა; წარჩინებით დაამთავრა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი და მშობლებისა და მოძღვრის ლოცვა-კურთხევით 1902 წელს ათონის წმინდა მთაზე, წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ქართველთა სავანეში დამკვიდრდა.

სავანის მმართველის, მღვდელმონაზონი იონას (ხოშტარია) გადაწყვეტილებით ახალგაზრდა მორჩილი გაამწესეს ივერთა

მონასტრის ახლოს მდებარე წმიდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის სენაკში, რომელიც ათონის მთაზე სახელგანთქმული იყო – სწორედ აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი მღვდელმონაზონი ბენედიქტე ქიოტიშვილი, მოძღვარი და მეგობარი წმიდა ილარიონ ახლისა ყანჩაველისა; ასევე ხორციელი მმა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსისა, დიდსქემოსანი ბესარიონ ქიქოძე, მღვდელმონაზონი ქრისტეფორე ახვლედიანი და ბერი გრიგოლ რატიანი. იმსანად სენაკში მხოლოდ ერთადერთი ქართველი, მოხუცი ბერი მაკარი (ჩოჩია) ცხოვრობდა. მისი დახმარებით იასონმა შეისწავლა სადვოთო ისტორია, გალობა და სამონასტრო ტიბიკონი. იასონს ენების შესწავლის დიდი ნიჭი ადმოაჩნდა, მოკლე დროში აითვისა ბერძნული სადვთისმსახურო წიგნების კითხვა და მსახურება. რამდენიმეწლიანი მორჩილების შემდეგ, 1906 წლის დასაწყისში, ივერთა მონასტრის არქიმანდრიტთა ნებართვით იგი ბერად აღკვეცეს და სენაკის მფარველი წმიდანის პატივსაცემად სახელად ილია უწოდეს.

„ჩემმა ბერმა ილიამ ბერძნული უამნ-დავითი კარგად დაისწავლა, ასე რომ, კარგად აწირვინებს ბერძნულად მღვდელს, ერთი წელიწადია მას აქეთ. დიდი პატივისცემით მოგიკითხათ, უმეტესი მაღლობა შემოგწირათ მოკითხვისათვის.“ – სიხარულით სწერდა ბერი მაკარი პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილს 1906 წლის ნოემბრში.

ქართველი ბერების ურთიერთობა ივერთა მონასტრის ბერძენ ბერებთან უკიდურესად დაძაბული იყო. ქართველები ითხოვდნენ ივერთა მონასტრის სრულუფლებიან წევრებად მიღებას სამმოში, რაც ბერძენ არქიმანდრიტებს აკრძალული ჰქონდათ. თავს იმართლებდნენ იმით, რომ ქართველები რუსეთის იმპერიის ქვეშვრდომები იყვნენ, ათონის მთაზე რუსთა მომძლავრებისა და ქონების დაკარგვის ეშინდათ, მონასტრის დამაარსებელ ივერიელთა შთამომავალთ კი დევნიდნენ და ავიწროებდნენ. ამავე დროს უსირცხვილოდ

ითვისებდნენ საქართველოში ივერთა მონასტრის მფლობელობაში არსებული მიწებისა და ქონების შემოსავალს. წლები შეალიეს ამ უსამართლობასთან ბრძოლას იღუმენმა ბენედიქტე ბარკალაიამ და მღვდელმონაზონმა იოანე ხოშტარიამ, მაგრამ ამაოდ, საშველი არ ჩანდა.

ამ დაპირისპირების ფონზე უჩვეულო იყო ბერძენი ბერების თანხმობა მამა ილიას მღვდელმონაზვნად ხელდასხმაზე, რაც 1908 წელს შესრულდა ივერთა მონასტერში. ამ პერიოდში დაუშეგობრდა მამა ილია ახალგაზრდა ბერს პავლე ჯაფარიძეს, რომელიც, სამწუხაროდ, სუსტი ჯანმრთელობის გამო სამშობლოში დაბრუნდა. მამა ილია



მღვდელმონაზონი პავლე (ჯაფარიძე).

მწიგნობრულ მოღვაწეობას ეწერდა; ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკიდან მან გადმოიწერა არაერთი ხელნაწერი, დაშლილი აკინძა და დაფანტვას გადაარჩინა. შემორჩენილია მის მიერ შედგენილი კატალოგი, რომელშიც აღნუსხულია ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკაში შემონახული ხელნაწერი და ბეჭდური წიგნები და საინტერესო ცნობები მათ შესახებ. მამა ილია ცდილობდა ქართველი ბერების მდგრმარებელის გაუმჯობესებას. ამ მიზნით

მას ხშირი მიმოწერა ჰქონდა საქართველოში ეროვნულ პოზიციაზე მყოფ ცნობილ სასულიერო პირებთან და მეცნიერებთან. ბუნებრივია, ამ წერილების მხოლოდ მცირე ნაწილში მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ მათში ჩანს სამშობლოს გულმხურვალე სიყვარული და რწმენა უკეთესი მომავლისა.

1911 წელს მამა ილია საქართველოში იმფოფებოდა. შეხვდა მამა პავლე ჯაფარიძეს, რომელიც მღვდელმონაზენის ხარისხში შიომღვიმის მონასტერში მოდგაწეობდა. ვარაუდობთ, რომ სწორედ ამ დროს დაპირდა მამა ილია მამა პავლეს სამთავროს მონასტრისათვის ხატის გამოგზავნას, რაც მალევე აღასრულა კიდეც. საქართველოში ყოფნისას მამა ილიამ ინახულა არაერთი ქართველი მოდგაწე და ყველა მათგანს შესთხოვდა ათონელი ქართველების შეწევნას. აი, რას სწერს იგი წმიდა პატრიარქ კირიონს 1913 წელს:

„თქვენ ყოვლადუსამღვდელოესობავ, - წმინდაო მეუფეო კირიონ! გვაკურთხე...“

„ყოვლისშემძლე ღმერთს ვსთხოვ და სასოსა ჩვენსა და მფარველსა ქართველთასა, დედასა ლგონისასა და შემწესა ჩვენისა ივერიის ლგონისმშობელსა თქვენ მშვიდობით და დღეგრძელობით ცხოვრებას, სასიქადულოდ და სანუგეშოდ ჩვენი საწყალი და დაობლებული სამშობლოსა...“

მოგახსენებო ჩემს ვინაობას. თუმცა თქვენი პირადი ცნობა მე არა მაქვს, მაგრამ ფრიად დაწვრილებით უწყი თქვენი სამშობლოსადმი მოღვაწება და სიმართლისათვის აღვილად დევნულობა; მენება და ფრიად მოსურნე ვიყავ თქვენი ნახვისა. 1911 წელს ჩემი სამშობლოს ყოფნის დროს მგზავრ გავიარე სევასტოპოლიში და ზღვის გემის ბილეთი იქამდის ავიდე იმ მოსაზრებით, რომ თქვენ მენახეთ, მაგრამ ჩემმა ცოდვამან და მცონარებამან დირსი არ გამხადა თქვენი ნახვისა საუბედუროდ...“

„მე ჩემი სამშობლოს ყოფნის დროს, ვისთანაც შეიძლებოდა, ცრემლითა მხურვალითა შევევედრე, რამე შემწეობის ხელი

აღუპყრან ათონელ ქართველ ძმობას...“

გინ მომცეს ცრემლი იერემიასი, რათა ვტიროდე და ვიგლოვდი საწყალი ჩვენი სამშობლოსთვის. რა ყოფილა საქართველო და დღეს რა ვართ. იმ ერებს, რომელთაც არც ხმის ამოღება შეეძლო და არც იცნობდა კარგად სხვა ევროპის ხალხები, დღეს თავისუფლებას ღებულობენ. სხვათა შორის, აი, ალბანელები, დღეს როგორც გაზეთები იუწყებიან, გადაუწყვეტიათ, ავტონომია უნდა გახდესო და ჩვენ კი, რომელნი ასი წლით ქრისტეს წინეთ ფარნაოზ მეფემ განამშვენა და უმაღლეს ხარისხზე დააყენა, დღეს ხმის ამოღების ნებას არ გვაძლევენ, ისე შეიცვალა დრო და ვითარება.

აბა თქვენ იცით, ყოვლადსამღვდელო მეუფეო, რა მხედველობაში იქონიებთ ათონის ივერიის მონასტრის საქმეს. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ თუ წამობრძანდებით აქეთ, ნამდგილად ივერიის მონასტრის საქმეს გაახერხებთ და ესე არა მცირედი დიდება იქმნება ჩვენი სამშობლოსა და თქვენთვინაც დიდი დიდება და სახელი. ივერიის მონასტერი თუ საქართველომ დაიბრუნა და გინდა მეფობა ქონდეს, მისი მსგავსია. აქედან მაშინ ბევრი რამ კეთილი საქმის გაკეთება შეიძლება, როგორც ძველად აქედან გაუნათლებიათ ჩვენი სამშობლო. ისე რა ქართველის გულმა უნდა შეუძლოს, ტირილი არ მოუგიდეს ამის შემხედავს. ცათა მობაძავი მონასტერია, დედამიწის პირზე ამისი ფასი მონასტერი არ მოიპოვება, თუმც ჩეგნში ზოგიერთი პირები იძახიან – „რა საჭირო არისო ათონის მონასტერი ქართველებისთვის“, მაგრამ ვინც მაგას სჩივა, ძალიანი სცდება და სრულიად ივერიის მონასტრის ცნობას მოკლებულია.“...

მღვდელმონაზონი ილია დიდი თანამგრძნობი იყო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის მიმდინარე მომრაობისა. საინტერესოა 1913 წლით დათარიღებული წერილი ცნობილი ავტოკეფალისტის, წმიდა ვასილ (სტეფანე) კარბელაშვილისადმი:

„მამაო ვასილ, ბერძნის ივერიის ბერები-საგან გავიგე, რომ ლონდონში კონგრესში ქართველი კაცები წასულაო და მონასტერს გვაროთევენო და ძალიანი შეშინებული არიან, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ის გაზეთი ვერ ვიშოვნე, რომელშიაც ეს სწერია. თქვენ იცით, როგორ შეაგონებთ ჩვენ საზოგადოებას, რადგანაც თქვენ გართული ხართ მათში და საზოგადო საქმეს ეწევით. ეს ივერიის მონასტერი თუ დვთის მადლით ამოვიგეთ, დიდი დიდება და გვირგვინი იქნება ჩვენი სამშობლოსათვის და დრო ახლა არის, თუ ჩვენი სამშობლო ინებებს.“

ჩვენი მონასტრის სურათსაც თან გიგზავნი ამ წერილში. სხვა: ერთი რომ ნახეთ და მომიკითხეთ ბატონი მოსე ჯანაშვილი სიმდაბლით. ბერძნული წყაროებიდან ჩვენი ძველი ავტოკეფალიის ეპლესის შესახებ, რაც შემეძლო, შემოვკრიბე და გამოვწერე, რადგანაც სიძვირის გამო მთელი წიგნი ვერ ვიშოვნე და მუზეუმში გამოვაგზავნი და იქ იხილავთ მაშინ.“

სამწუხაოდ, პირველმა მსოფლიო ომმა და შემდგომმა პოლიტიკურმა მოვლენებმა კიდევ უფრო დაამძიმა ქართველ ბერთა მდგომარეობა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ 1920 წელს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის ქართველთა სავანის ბერებს ძალადობით დაატოვებინეს მონასტერი. მართალია, თვით მამა ილია არ განუდევნიათ წმიდა ილია წინასწარმეტყველის სენაკიდან, მაგრამ მან ვერ აიტანა ასეთი ძალადობა და სხვა ქართველ ბერებთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა; ათამდე ქართველმა ბერმა კი ათონზე სამუდამოდ დარჩენა მოისურვა და ისინი სხვა-დასხვა საგანებს შეეხიზნენ.

ლტოლვილი ბერები პირველად თბილისში ჩამოვიდნენ. ამის შესახებ გაზეთი „საქართველო“ წერდა: „სტამბოლიდან თბილისში ჩამოვიდა ძველ ათონის მონასტრის დელეგაცია, რომელიც გუშინ გამოცხადდა გარეშე საქმეთა სამინისტროში და აუხსნა მათ წარმომადგენელმა მდგრელმონაზონმა ილიამ ის



არქიმანდრიტი ილია (ფანცულაია)

აუტანელი გაჭირვებული მდგომარეობა, რომელშიაც ჩაცვივნულ არიან იქაური მცირე ჯგუფი ქართველობისა. მათ სოხოვეს, საბერძნეთის მისის საშუალებით მოგვარდეს მათი მდგომარეობა. მეორე დღეს ჩამოსული დელეგაცია წარუდგა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ლეონიდეს“.

უწმიდესისა და უნეტარესის ლეონიდეს ლოცვა-კურთხევით მღვდელმონაზონმა ილიამ ცხემ-აფხაზეთის ეპარქიაში, სოხუმის რაიონის სოფ. აბუაყას სამრევლოში განაგრძო სამსახური. 1921 წლის 1-5 აგვისტოს ესწრებოდა გელათში გამართულ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესის მესამე საეკლესიო კრებას, როგორც ცხემ-აფხაზეთის ეპარქიის დელეგატი.

1923 წლის 23 მარტს კათოლიკოს-პატრიარქია ამბორისიმ (ხელია) მდგრელმონაზონი ილია ბეთანიის მონასტრის წინამდგრად დანიშნა. უმბიმესი წლები იდგა. მონასტერში არ იყო ელემენტარული საკვებიც კი. ამის გამო ბერებს ახლომახლო სოფლებში უხდებოდათ გასტლა საეკლესიო წესების შესასრულებლად. ეს იმ პერიოდში სახიფათო იყო, რადგან ხე-

ლისუფლებისგან წაქეზებული აქტივისტები და გადაჯიშებული ახალგაზრდობის ნაწილი პირდაპირ გზაში ხოცავდა სრულიად უდანაშაულო სამღვდელოებას. 1923 წლის 3 სექტემბერს მღვდელმონაზონი ილია სოხოვდა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს, ურბნელ ეპისკოპოს ქრისტეფორეს (ციცქიშვილი): „ოქვენო მეუფებავ, უმორჩილესად გთხოვთ, რადგან მონასტერს არავითარი სახსარი და საშვალება არ აქვს, მშივრები ვართ, ნება მოგვცეთ, საკალმასოდ ცოტა პური ვითხოვოთ მორწმუნე ხალხში, ეგებ როგორმე თავი გადავირჩინოთ შიმშილისაგან“. ზუსტად ერთი წელი წინამდღვრობდა მამა ილია



ათონის მთა. წმიდა ილია წინასწარმეტყველის სენაკი.

ბეთანიის მონასტერს, 1924 წლის დიდმარხვაში კი დატოვა და თავისი თხოვნით სოფელ ბზა-ახალსოფლის სამრევლოში გადავიდა.

1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მრავალმა სასულიერო პირმა მიღო მონაწილეობა; მათ შორის იყო მამა ილიაც, რომელსაც აქტიური კაგშირი ჰქონდა ქაქუცა ჩოლოფაშვილთან. როდესაც ქაქუცას რაზმმა მანგლიის აიღო, მამა ილიამ სამადლობელი პარაკლიის გადაიხადა და შემდგომი წინსვლა და გამარჯვება უსურვა მას. აჯანყების დამარცხების შემდეგ, იმავე წლის 6 სექტემბერს, ადგილო-

ბრიგმა ხელისუფლებამ დააპატიმრა მანგლისის ოლქის მთავარხუცესი, დეკანოზი იოანე ჩიტაძე და მღვდელმონაზონი ილია (ფანცულაია). დაკითხვა მიღიოდა მეტად მძიმე და აუტანელ პირობებში, რაც კარგად ჩანს თავად მამა ილიას 1924 წლის 18 სექტემბრით დათარიღებული წერილიდან:

„ერთ-ერთი დაკითხვის დროს, რომელსაც რუსულ ენაზე აწარმოებდა გამომძიებელი კარიაგინი, მე წამომიყენეს ამგვარი საკითხი: ვემორჩილები და თანავუგრძნობ თუ არა მთავრობას. მივცი ასეთი პასუხი: განგუმარტე, რომ თანავუგრძნობ და ვემორჩილები მის ყოველგვარ განკარგულებას, ხოლო ნაწილს იმ საქმისას, რომელიც ეხება სამღვდელოებას, საიდგანაც გამომდინარეობს დევნა ყოველგვარი სამღვდელოებისადმი, უარს გყოფ.“

ხელისუფლებამ არ აპატია მოძღვარს ჩოლოფაშვილთან ურთიერთობა, ამას ემატებოდა ისიც, რომ იგი სასულიერო პირი გახლდათ და თანაც ერთ-ერთი აქტიური. სასამართლომ მამა ილიას დახვრეტა მიუსაჯა, თუმცა შემდეგ განაჩენი 10 წლით თავისუფლების აღკვეთით შეიცვალა. 1925 წლის 16 მარტს ამნისტიის გათვალისწინებით ვადა სუთ წლამდე დაიყვანეს. 1928 წლის

სექტემბერში მღვდელმონაზონი ილია გათავისუფლდა პატიმრობიდან.

1928 წლის 25 დეკემბერს იგი ვარძიის მონასტრის წინამდღვრად დაინიშნა. 1929 წლის 11 იანვარს არქიმანდრიის წოდება მიენიჭა, 13 იანვარს გორის საკათედრო ტაძარში ურბნელმა ეპისკოპოსმა სვიმეონმა (ჭელიძე) შეასრულა წესი არქიმანდრიის წოდების მინიჭებისა. მამა ილიასვე დაევალა მახლობელი სოფლების მოვლა-პატრონობა და ქრისტიანული წესების შესრულება. იგი 17 იანვარს ჩავიდა ახალციხეში და აპირებდა ვარძიის მონასტრის ჩაბარუ-

ბას, მაგრამ აღმასკომის თავმჯდომარე შაბანოვმა არ დართო ნება. 1929 წლის 21 იანვარს მამა ილია უწმიდეს ქრისტეფორეს სწერდა: „ახალციხის აღმასკომის თავჯდომარემ, შაბანოვმა, განმიცხადა, ჩეენ ცრუმორწმუნეობას ვებრძვითო, და სასულიერო პირის აღგილი არ არისო. მიბრძანეს, დამეტოვებინა იქაურობა. ეპისკოპოს სვიმონის ლოცვა-კურთხევით დავრჩი ახალციხის წმიდა მარინეს ეკლესიის წინამდევრად და ნათლისლებას ჩავატარე წირვა. ველოდები მეუფის განკარგულებას“.

ახალციხის წმიდა მარინეს ეკლესიის ქართული და ბერძნული მრევლის თხოვნით მამა ილია წინამდევრად დაინიშნა. ერთ თვეში მან იმხელა სიყვარული და ავტორიტეტი მოიპოვა ხალხში, რომ ამავე წლის 7 თებერვალს ადგილობრივმა ხელისუფლებამ მას ახალციხეში ცხოვრებაც აუკრძალა და 24 საათში იქაურობის დატოვება უბრძანა. მიუხედავად ამისა, მრევლის აქტიური ჩარევის შედეგად იგი დარჩა ახალციხეში და განაგრძო მსახურება. მალევე ეპისკოპოსმა სვიმონმა მამა ილია აწყურის ეპარქიის მესხეთ-ჯავახეთის ოლქის მთავარხუცესად დანიშნა. მოძღვარი აქტიურად შეუდგა მისდამი დაქვემდებარებულ ოლქში ჯერ კიდევ შემორჩენილი და მოქმედი ეკლესიების მოვლა-პატრიონობას. იგი სოფელ-სოფელ დადიოდა და ამხნევებდა სამდგდელოებას, მრევლს, ისმენდა მათ საზიგრებს უღვთო ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მიყენებულ უსამართლობაზე. თავის მხრივ იგი ურბნელ-მაწყვერელ ეპისკოპოს სვიმონს აწვდიდა ამ ინფორმაციას, მაგრამ მიუხედავად მათი თხოვნისა და საზიგრებისა, ადგილობრივი ხელმძღვანელობა და კომკავშირლები ყველაფერს თავისი ნება-სურვილით აკეთებდნენ და კანონის დაცვას არავინ აპირებდა. ამის გამო სასულიერო პირთა ხმა რჩებოდა, ვითარცა „ხმა დაღადებისა უდაბნოსა შინა“.

1929 წლის 3 ოქტომბერს ეპისკოპოსი სვიმონი საკათალიკოსო სინოდს სწერდა:

„როგორც მაცნობებს მესხეთ-ჯავახეთის ოლქის მთავარხუცესი არქიმანდრიტი ილია, ამა წლის 23 სექტემბრიდან იგი გაუწვევიათ ვარძიის ყოფილი მონასტრის ახლომდებარე სოფლების მორწმუნებს ტაძრის დღესას-წაულზე 15 აგვისტოს (ძვ. სტ.) საწირავად. არქიმანდრიტიც წასულა. მლოცველი ბევრი ყოფილან. არამც თუ გარემო სოფლებიდან და მაზრებიდან, არამედ თბილისიდანაც, სხვადასხვა ეროვნებისა, რომელთაც მოუთხოვნიათ წირვა-ლოცვა და სხვა მღვდელ-მოქმედების შესრულება, მაგრამ იქ მყოფ ხელისუფლების წარმომადგენელს არ დაუნებებია არქიმანდრიტ ილიასთვის არამც თუ მღვდელმოქმედების შესრულება, არამედ თვით ამ ისტორიული ნაშთის დათვალიერებაც. უთქვია: „ჩვენ ნება არ გვაქვს ვინმე სასულიერო წოდების პირი შეგიშვათო“. ამას მორწმუნეთა მხრიდან დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია და ძალის გამოყენება უცდიათ, რასაც მამა ილია არ დასთანხმებია. მომახსენებს რა ამას, არქიმანდრიტი ილია მთხოვს შუამდგომლობას სინოდის წინაშე, რათა მიღებულ იქნეს ზომები ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ასეთი უკანონო ქმედებების გამო“.

მამა ილიას ყოველთვის ადარდებდა ათონის მთაზე უნუგეშოდ დარჩენილი ქართველი ბერების ბედი. მან ციხეში ყოფნისას გაიცნო 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის გასამართლებული ახალგაზრდები, რომელთაც დიდი სურვილი ჰქონდათ ბერებისა. მამა ილიამ მიზნად დაისახა მათთან ერთად ათონის მთაზე დაბრუნება. 1930 წლის 25 ივნისს არქიმანდრიტი ილია ხუთ ახალგაზრდასთან ერთად, რომელთაგანაც ერთ-ერთი მისი ნათლული სერგი ჯაჯანიძე იყო, ცდილობდა საქართველოს დატოვებას, მაგრამ მესაზღვრეებმა შეძლეს მათი დაპატიმრება. სასამართლო პროცესი რამდენიმე თვე გაიწელა. მამა ილიას აუტანელ პირობებში ამყოფებდნენ, რაც კარგად ჩანს 1930 წლის

12 აგვისტოს საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს პროკურორისადმი მიწერილი წერილიდან: „მე დაპატიმრებული ვარ ახალციხის მაზრაში, საზღვრის დამცველი რაზმისაგან. საქმის ვითარება ეგრე გახდათ: მე 1902 წლიდან ცხოვრობდი ათონის მთაზე ივერიის მონასტერში თითქმის 20 წლის განმავლობაში, ჩემი ახალგაზრდობის ხანა იქ გავატარე, მაგრამ 1920 წელს იძულებული გავხდი, დამეტოვებინა ათონის მთა და დაგბრუნებულ ვიყავ სამშობლოში, ვინაიდან ბერძნებმა წაგვართვეს ქართველ ბერებს ჩვენი საკუთარი მონასტერი, და დაგბრუნდი საქართველოში და ვმსახურობდი სხვადასხვა ადგილას. ამ ბოლო ხანებში მე გადავწყვიტე, ისევ დაგბრუნებულ ვიყავ ათონის მთაზე და ეს ჩემი უკანასკნელი დღეები იქ გამეტარებინა, და ამ მიზნით, მე ამა წლის 23 ივნისს წავედი ქ. ახალციხიდან, სადაც მე ამ ბოლო ხანებში ვმსახურობდი, არალეგალურად გადავსულ ვიყავი საზღვარზე. მაგრამ მე ვინაიდან ავად გავხდი და გულიც შევიცვალე, უკან დაგბრუნდით ჩემთანა მგზავრებით და მოვედით ერთ მაჟმადიანთა სოფელში, სადაც დაგვაკავეს ადგილობრივ პარტიულებმა და გადაგვცეს ზასტავის უფროსს და უკან ჩამოგვიყვანეს ქ. ახალციხიეში. დამკითხა საზღვრის დამცველი რაზმის გამომძიებელმა მოქ. ნოვოსარიდოვმა. შემდეგ ჩემი საქმე გადასცეს ახალციხის პოლიტ. სამმართველოს განყოფილებას. და ხელმეორედ დამკითხა მოქ. ჯიგულიანმა, და გადმომგზავნეს თბილისში საქართ. პოლიტ. სამმართველოს განკარგულებაში და მოთავსებული ვარ იზოლატორში. მე დაპატიმრების დროს ჩამომართვეს 40 მან. და 50 კაპ. ფული და აგრეთვე შემდეგი ნივთები: სამღვდელო შესამოსელი, სტიხარი, ერთი ოლარი, ერთი სარტყელი, სამაჯურები 2 ცალი, ენქერი 1 და ფილონი 1 და ერთი გულის ჯვარი (ვერცხლისა). ეს ნივთები ჩემი წამოყვანის დროს მე მოვითხვე, მაგრამ უკან წაედოთ პოლიტ. სამმართველოში

და ვერ მივიღე მოთხოვნის დროს. ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, მიიღოთ მხედველობაში ჩემი უნუგეშო და გაჭირვებული მდგომარეობა და ზემო ჩამოთვლილი ფული და ნივთები დამიბრუნოთ“.

1931 წლის 25 იანვარს მამა ილია სამი წლის ვადით გადასახლეს რუსეთში, სოლოვკის საკონცენტრაციო ბანაკში.

1933 წლის 29 ივლისს, როგორც ხელისუფლებისთვის საშიშ პიროვნებას, კიდევ გაუგრძელეს პატიმრობის ვადა სამი წლით, თუმცა ეს ბრძანება ძალაში აღარ შესულა. 1933 წლის 21 აგვისტოს ბანაკის ხელმძღვანელობა საპასუხო წერილში წერდა: „ვერ ვასრულებთ თქვენ ბრძანებას და გიბრუნებთ საბუთს ყოფილი პატიმრის, ილია სვიმონის ძე ფანცულაიას შესახებ, სადაც ითხოვთ მისთვის პატიმრობის ვადის გაგრძელებას. ადნიშნული პიროვნება გათავისუფლდა ჩვენი საპატიმროდან 1933 წლის 9 მაისს და სამშობლოში დაბრუნდა“.

მიუხედავად ამდენი დევნისა, დამცირებისა და შეურაცხყოფისა, პატიმრობიდან გათავისუფლებული არქიმანდრიტი ილია ისევ დედა ეკლესიის სამსახურში ჩადგა. მანგლისის ეპარქიის საქმეებში დაცული ერთი დოკუმენტიდან ჩანს, რომ 1935 წლის 3 თებერვალს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) იგი მანგლისის ეპარქიის სოფ. დიდი ოონეთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამდღვრად დანიშნა.

1937 წლის 17 ივლისს მოძღვარი ისევ დაპატიმრებს და გაასამართლეს. 1937 წლის 21 ოქტომბერს სამეულის განჩინებით მიესაჯა დახვრეტა, რაც ამავე წლის 31 ოქტომბერს სისრულეში იქნა მოყვანილი.

ფოტოებისა და ინფორმაციის მოწოდებისათვის დიდ მაღლობას მოვახსენებთ ათონის წმინდა მთის წმიდა პანტელეიონ მეურნალის მონასტრის ბიბლიოთეკის გამგეს მამა ერმოლაოს (ჭეშია).

ლუარსაბ ტოგონიძე,  
გორგი მაჩურიშვილი

## დეკანოზ ნიკიტა თალაპვაძის ჭარმოთხმული სიტყვა კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის დაპრძალვის დღეს

„მშვიდობით, თქვენო უწმიდესობავ!

ეს ერთი კვირაა, შენი ანჩისხატი, მთელი მორწმუნე თბილისის ქართველობასთან ერთად, გულდათუთქული დაგქვითინებდა ტყვიით განგმირულ თავის მამამთავარს. დღეს კი ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან მოზღვავბულა მთელი საქართველო, — შენი სამწყსო, — რათა მიგაცილოს საუკუნო განსახვენებელ სავანემდე. დაობლებული შენი სამწყსო, ისევ დაქვრივებული ივერიის გალესია დღეს საქვეყნოდ მოსთქვამს და ჰგოდებს თავის

უმადურობის ნაყოფია. ზოგჯერ მტერი ვერ უზამს ადამიანს იმას, რასაც თვით ადამიანი თავის თავსო, — სწორედ ჩვენზეა ეს ნათქვამი. სხვებმა, გარეშეებმა, ჩვენმა მტრებმა და ორგულებმა, შეიგნეს შენი დიდი პიროვნების დირსება, ჩვენ კი ვერა! სხვებმა, უცხოელებმა, დააფასეს შენი გონებრივი და ზნეობრივი დგაწლი სამშობლოსათვის, ჩვენ კი ვერა...

ვერ გამიგია, რას ვთხოულობდით კიდევ შენგან?! სხვა ქვეყანაში ასეთ ნაამაგდარ, დამაშვრალ, მხცოვან მოვაწეს დაასვენებენ ხოლმე, სიბერის ჟამს დაუტკბობენ, განვლილ ტანჯვა-წამებას დაუამებენ და თუ კიდევ სამოღვაწეოდ მოიწვევენ, მაშინ თავს ევლაბიან, ტვირთს უმსუბუქებენ, რათა მისი სიბრძნე-გამოცდილებით ისევ ასარგებლონ ქვეყანა. ჩვენ ასე ვერ მოგექეცით. ჩვენ მხოლოდ უუფლებო კათალიკოს-პატრიარქად აგირჩიეთ! თითქოს ჩვენი ეკლესიის ხომალდის საჭეო-მჟყრობელი გიწოდეთ, ნამდვილად კი ეს საჭეოელიდან გამოგზაცეთ!

ქედმაღლობა, გამძვინვარებული შური, საარაკო თაგხედობა და გულფიცხობა ვაწარმოეთ თავის მამამთავრის გარშემო, უკანასკნელი დღენი სიცოცხლისა ჩავუმწარეთ მას და ახალ საქართველოში ეკლესიასაც ძირი ამოვუთხრეთ, არსებობის ნიადაგი გამოვაცალეთ.

განა მხოლოდ კირიონ კათალიკოზის მოვაქეცით ასე? უფრო მეტის სისასტიკით გავისტუმრეთ საიქიოს დიდი ილია! წიწამურისა და მარტყოფის ტრაგედია საქართველოს დაუმინებელი მტრების მიერ ჩვენში დათესილმა, ერთმანეთის ჯგუფურმა გადაკიდება-კინკლაობამ შეამზადა. მტრებმა დაგვქსაქსეს, ერთმანეთის მტრებად გადაგვაქციეს, საკუთარ ოჯახში შინაური მტრები და ჯაშუშები გაგიჩინეს და ეს თავზარდამცემი უბედურება ქართველების ხელით გააკეთეს. რადა გვეთქმის ამ შავბნელ ბოროტებაზე? — შური, ერთმანეთის მტულგარება და გაუტანლობა დაესადგურა



წმიდა მლოდელმოწამე კირიონი (საძაგლიშვილი)

ვაჟბასა, თავის უბედურებასა, თავის ეგზომ დაცოდვილებას, სამშობლოს ქვეყნის გარეშეთაგან გაჭირებას. ეს შენი საიდუმლოებით მოცული კუბოც მძიმე ლოდივით ზედ დაგვერთო. ასეთ განსაცდელს ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს ჩვენში.

არ ვიცი, შენი ასეთი მოულოდნელი და უცნაური სიკვდილი ჩვენი გაუგებრობის თუ

ჩვენ შორის და ეს გვათხრევინებს ჩვენს სამარეს ჩვენივე ხელით... როდესაც იღიას და კირიონს ყიუინას სცემდნენ უგუნურნი, ჩვენში არ აღმოჩნდა ვინმე, რომ დამაშვრალთაოვის ნუგეში ეცათ, მათოვის მოეგერიებინათ უპასუხისმგებლო კალმოსანნი. პირიქით, უფრო ასისიანებდნენ მათ...

იღიას და კირიონს მამულიშვილობა, უანგარობა და სამშობლოსათვის თავგანწირვა როდი ესწავლებოდათ, საყვარელნო!... მაგრამ დღეს რაღა გვეთქმის... დღეს ისევ საქვეუნო სირცხვილში ჩავცვიდით, ქართველნო... ეტყობა, ისტორიის გაკვეთილები ფუჭია ჩვენთვის, ჯერჯერობით მაინც... მაგრამ ღრმად გვწამდა საქართველოს ჭირისუფლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ანდერძი:

„ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის,  
ეს განწირულის სულის კვეთება,  
და გზა უვალი, შენგან თელილი,  
მერანო ჩემო, მაინც დარჩება“.

დიახ, „გზა უვალი“, კირიონისაგან „თელილი“, უსათუოდ დარჩება.

ამ გზაზე უკვე დაგვაყენა განსვენებულმა. პირველმა მან შეაშუქა ჩვენს საზოგადოებაში ჩვენი ეკლესიის განთავისუფლების აზრი. შეაშუქა არა 1905 და 1917 წლებში, როდესაც ქანიც კი დადადებდნენ, არამედ უფრო ადრე, როდესაც სუსტიანი ცარიზმისაგან ყოველი აზრი და იდეა თავისუფლებაზე ჩვენში გაფინულ-გათოშილი იყო; კირიონი კი მაინც თესდა ჩვენში თესლსა კეთილსა. იგი შეესწრო კიდეც ამ თესლისაგან ნაყოფის გამოღებასა, მაგრამ თვით კი ვედარ იგემა თვისი ნამუშაკარი. ასეთი ყოფილა ხვედრი ქართველ საზოგადო მოღვაწეებისა და ვერც კირიონი ასცდა თავის ხვედრას...

არ შემიძლია, არ გამცნოთ, საყვარელნო, კირიონისაგან ერთ საეკლესიო წრეში უკანასკნელად წარმოთქმული აზრი ჩვენს ძალთა ურთიერთგანწყობილებაზე: „ოცი წლის განმავლობაში დაშორებული ვიყავი სამშობლოს, – ბრძანა განსვენებულმა,

– შორითგან თვალ-ყურს გადევნებდით, ვფიქრობი, ამ სის განმავლობაში თქვენ საქმარისად შეიგენით საქვეუნო მოვალეობა, მაგრამ როგორც ეხლა ვრწმუნდები, თქვენ უფრო დაქვეითებულხართ და დაქსაქსულხართ. თუ ხელახლა დაბადებით, თორემ სხვაფრივ თქვენი მობრუნება შეუძლებელია“, – ასე ნაღვლიანად დაასრულა მან თავისი მწყემსმთავრული მხილება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენ „ხელახლა დავიბადებით“, როგორც განსვენებულმა გვამცნო; ახალ საქართველოში, მხოლოდ თავისუფალ საქართველოში აღორძინდება, ამაღლდება, გაფაქიზდება ძალთა განწყობილება, მხოლოდ განახლებულ მოქალაქეობაში შევძლებთ, უკუვაგდოთ აწ დამხობილ მონობისაგან ნაანდერძევი გახრწინილი ზეწევეულებანი და შეერთებულ ძალით სამშობლოს ვემსახუროთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აწ თავისუფალ საქართველოში თავისუფალი ეკლესია შესძლებს აღუზარდოს სამშობლოს დირსეული მოქალაქენი მტკიცე ქრისტიანულ ზეწობის ნიადაგზე. უნდა შევიგნოთ, საყვარელნო, რომ მხოლოდ წმინდა სახარების მცნებებზე აღზრდილი ერია უკვდავი და უძლეველი.

ამ რწმენით მიგაცილებთ, ტანჯულო მამათავარო, საფლავის პირზე. აქ, ჭადარა სიონის ტაძარში მივაბარებთ შენს ნეშტს მშობელ მიწას. აქ დაისვენე და განისვენე, დამაშვრალო! აქ მაინც აღარ იქნები „განმარტოებული“, აქ მუდამ სინანულის ცრემლებს დავაფრქვევთ შენს წმინდა საფლავს. შენც, უწმიდესო მეუფეო, აქედან თვალ-ყური გადევნე, გაგვამხნევა, არ დაგვივიწყო, არ დაგვწყვევლო, არ შეგვაჩვენო! პირიქით, შენებურად, დიდსულოვნად შეავედრე ჩვენი ეგზომი დაცოდვილება სიონის ღვთისმშობელს, წმინდა ნინოსა და ჩვენს ნათლით მოსილ წინაპართ...

შეგცოდეთ – შეგვინდევ და გვაპატიე, ჩვენო დაუვიწყარო მამამთავარო.

ღმერთი იყოს შენი მოწყალე. ამინ!“

**მონასტრის არქივიდან**

## არქიმანდრიტი ლაზარე (ბაბიძე)

### უდიდესი უდიდესთა შორის


„უდიდესი არს უდიდესთა შორის!“ – ეს სიტყვები აღმოოქველმა და სალოსმა, ლირსმა მამა გაბრიელმა, რომელიც ფერისცვალების ტაძარში განმარტოებული, მუხლმოდრეკილი, სულგანაბული დასცეკროდა სამთავროს პირველი იღუმენია დარიას (ფალავა) საფლავს.

სამთავროს დედათა მონასტერში იღუმენია დარია ფალავას მოსვლის ისტორიას მოგვითხრობს აქ შემონახული ზეპირი გადმოცემის ორი ვერსია. პირველი ვერსიის თანახმად, „ოდიშის თავადის ასულს მცხეთიდან სამეგრელოში ჩასული ვაჭრისაგან სმენია საქართველოს საპატიოარქოსა და ქართლის საეპისკოპოსოს გაუქმება და ტაძრის უპატრონოდ დარჩენა. ღვთის განგებით უყოფმანოდ დაუტოვებია მშობლები, შვიდი ძმა და ვაჟურად გადაცმული, როგორც მოსამსახურე, მალვით გამოჰყოლია ვაჭარს მცხეთაში.“

სამთავროს მონასტრის ეზოში, თავდაპირველად, სათონებთან დასახლებულა. ერთხელ არაგვის პირას გასულ დარიას ბებრის ციხეთან სამი ცხენოსანი შეუნიშნავს, ძმები შეუცვნია და არაგვში შეუცურავს. ძმები დასდევნებიან. წყლიდან გასული ქალი შეუფარგბიათ მდვდელსა და მის მეუღლეს, რომელთაც სიზმრისეული ჩვენებით სცნობიათ ეს ამბავი და ქალი გულმოდგინედ გადაუმალავთ.“

მეორე ვერსიას მოგვითხრობდა მონაზონი ეფემია ხიზანიშვილი (1896-1968 წ.წ.): „XIX საუკუნის დასაწყისში სამთავროს მონასტერი გაუკარიელებულ და მიტოვებულ ეკლესიას წარმოადგენდა. ერთხელ იგი მოუნახულებია სამეგრელოს აზნაურ ფალავას, რომელსაც მონასტერი ძალიან მოსწონებია. როცა სახლში დაბრუნებულა, გულისტკივილით უამბნია მცხეთის ამ მიტოვებული სიწმინდის შესახებ თვისი დის დარიასათვის, რომელიც ოჯახში დიდი რწმენით გამოირჩეოდა და გულში მონაზვნური ცხოვრების სურვილი პქნია. მას კარგად გამოუკითხავს თვისი ძმისათვის ყველაფერი და ერთ დღეს, მამაკაცის სამოსელში

გამოწყობილს, ფარულად მიუტოვებია სახლი და ცხენით ჩამოსულა მცხეთაში. მასაც ძალიან მოსწონებია სამთავროს ეკლესია და განუზრახავს აქ მონაზვნური მოდვაწეობა. იგი ჩასულა თბილისში, გავლენიანი პირების დახმარებით შესულა საქართველოს ეგზარქოსთან და გამოუთხოვია მისგან ლოცვა-კურთხევა დადათა მონასტრის დასაარსებლად. ეგზარქოსს დაულოცია დარია იმ პირობით, თუ სასწრაფოდ დედების გარეკვეულ რიცხვს მოუყრიდა თავს, რათა არსებული კანონის მიხედვით მონასტერი ოფიციალურად ეცნო მთავრობას და მისი შენახვისათვის ხარჯები გამოეყო. დარიასაც მოუნახავს მცხეთაში დედები და ეგზარქოსსაც მონასტერი გახსნილად გამოუცხადებია. მის პირველ წინამდღვრად დაუდგენიათ დარია ფალავა, რომელსაც წილად ხვდა პატივი, სამთავროს დედათა მონასტრის პირველი იღუმენია გამხდარიყო. დედა დარია დიდად გარჯილა



იღუმენია დარიას საფლავის ეპიტაფი

მონასტრისათვის და გარდაცვალების შემდეგ მონასტრის მთავარ ტაძარშივე, საკურთხევლის ახლოს დაუკრძალავთ.“

არსებული საარქივო მასალების მიხედვით, დარია ფალავა დაიბადა 1804 წელს, ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები სამთავროში მოსვლამდე მშობლიურ სოფელ ბანძა-ვადიდკარში გაატარა. საქართველოს მთავარი გენეალოგის, იური ჩიქოვანის ინფორმაციით, დარიას მამა იყო ხიტუ მურზაყანის ძე ფალ-

შემდეგ კი სამეგრელოს კეთილშობილ თავადებზე, მაგრამ პირველი ეპიდემიას ემსხვერპლა, მეორე – ნადირობას. დარიამ ბედის უკუღმართობა დვოთის განგებულებად მიიჩნია და გადაწყვიტა, თავი სამუდამოდ ქრისტეს მსახურებისათვის მიეძღვნა. დედ-მამის ჯოუტი მცდელობა, მათ ასულს გადაწყვეტილება შეეცვალა, უშედეგო აღმოჩნდა. ერთ მშვენიერ დღეს დარიამ ფარულად დატოვა მშობლიური კერა, 26 წლის ასაკში მაჟურა წმიდა ნინოს გზას და გამოემართა სამთავროს მაყვლოვანისაკენ. უფალმა დარიას თავგანწირვა დაუფასა, ახალადორინებულ სავანეში სულიერმა დებმა სიყვარულით მიიღეს და ასე, დვოთისათხო დვაწლით, დაოწყო მისი სულიერი ცხოვრება.

იდგა 1831 წელი. დარია მოსვლისთანავე აქტიურად ჩაება მონასტრის ცხოვრებაში. მიატოვა რა მშობლიური კერა, მთელი არსებით ღმერთს მინდობილი, ერთგულად ამოუდგა მხარში უფროს სულიერ დას, დვოთიგამორჩეულ ღირს დედას, ნინო ამილახვარს

ბანძა-ვადიდკარის ეკლესია და ფალავების საგვარეულო სასაფლაო

ავა. ხიტუს ბაბუა ხუხუ ფალავათა საგვარეულოს თაგაცობდა. ფალავები მკვიდრობდნენ სოფელ ბანძაში. იქვე იყო მათი რეზიდენცია – „ფალაოს სასახლე.“ მათვე ეპუთვნოდათ თარგამულის ციხესიმაგრე, ვედიდკარის მთავარანგელოზთა ეკლესია და საგვარეულო სასაფლაო.

ა. მურავიოვის წიგნიდან ოდიშის მთავარ დავით დადიანის მიერ დარიას შესახებ მოთხოვობილი ამბიდან ირკვევა, რომ დარიას დედა არის ტორატოა წრეს ეპუთვნოდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ლეგან V-ის ქრიზან, დავით დადიანის დედასთან. ი. ჩიქოვანის გენეალოგიური მონაცემებით, დარიას ჰყავდა ძმა ალექსანდრე და და ნინო.

დარია ოდიშის თავადის ტრადიციულ ოჯახში იზრდებოდა. იგი დაინიშნა ჯერ სვანეთის,

და მისი თაოსნობით შეუდგა ქართველთა განმანათლებლის, წმიდა ნინოს სულიერი მისიის აღორძინებას სამთავროს მაყვლოვანში.

სავანეში დამკვიდრებისთანავე იგრძნო დარიამ მონასტრის წევრებისა და რუსული საეკლესიო მმართველობის ნდობა, პატივისცემა და გასაკუთრებული კეთილგანწყობილუბა. ამას, ერთი მხრივ, განაპირობებდა მისი კოლხური გარეგნული მომხიბვლელობა და, მეორე მხრივ, უზადო ქრისტიანული სათხოებით გამსჭვალული შინაგანი კულტურა და სულიერება.

დარიას მორჩილად კურთხევისა და მონაზვნად აღკვეცის თარიღები საარქივო წყაროებში, სამწუხაოოდ, აღრეულია. ამის მიზეზი არის ის, რომ მონაზვნებს მონასტრის ამოქმედების პირველ წლებში სამთავროსთან დაკავშირებული

წერილობითი საბუთების შენახვის არავითარი პირობები არ გააჩნდათ. მონატრის ყოველგვარი საბუთი თავს იყრიდა საეგზარქოსო სინოდალურ კანტორაში, თბილისში.

დარიას მონაზენად აღკვეცის თარიღად საარქივო წერილი ერთ შემთხვევაში დასახელებულია 1832 წელი, სხვაგან – 1833 წ. ბევრად უფრო გვიანდებულ თარიღზეა საუბარი 1847 წლის სამთავროს მონაზონთა ფორმულარში. აქ მოცემული საანკეტო მონაცემების მიხედვით, იგი 1846 წლის 19 ნოემბერს დადგნილა სამთავროს წინამდღვრად და მონაზენად აღკვეცილა წინამდგვრად დანიშვნის შემდეგ, 1846 წლის 1 დეკემბერს. ერთი რამ უდავოა: დარია სამთავროს მონასტრის წინამდგვრის მოვალეობას ასრულებდა მის ამ თანამდებობაზე იფიციალურად დანიშვნამდევც.

მონასტრში მოსვლის მეოთხე წელს დარია ფალავა გახდა მონასტრის „ბლადოჩინი“, დღევანდებული გაგებით, კეთილმოწესებ. იგი ზედამხედველობას უწევდა მონასტრის წევრთა სულიერ მდგომარეობას, ძალისხმევას არ იშურებდა, რომ ჯერ თავად ასულიყო მაღალ სულიერ საფეხურზე, და ამავდროულად, ხელი შეეწყო ქრისტესმიერი დებისთვისაც, რომ მასთან ერთად ზიარებოდნენ სულიერ ამაღლებას.

1839 წელს გარდაიცვალა სამთავროს მონასტრის განმაახლებელი, ლიონის ნინო ამოლახვარი (უფროსი). მოკლე სანში ეგზარქოსმა ევენიმ იღუმენ იოანეს, რომელიც, როგორც ჩანს, არქიმანდრიტი საბას შემდეგ ითვლებოდა სამთავროს მოძღვრად, სოხოვა, მონასტრში მოდვაწე მონაზონთაგან წარედგინა წინამდღვრის სავარაუდო კანდიდატურა.

იღუმენ იოანეს წერილობითი წარდგინების შემდეგ დარია სამთავროს ყველა საბუთში მოიხსენიება უფროს მონაზენად.

1846 წლის 19 ნოემბერს საქართველოს ეგზარქოსმა ისიდორემ დარია ფალავა დანიშნა სამთავროს დედათა მონასტრის წინამდგვრად. ამ დროიდანვე მოიხსენიება იგი იღუმენიად.

1847 წლის 18 ივნისს რუსეთის საეკლესიო

ხელისუფლებამ სამთავრო ოფიციალურად ცნო მონასტრად. საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ მონასტრის შესანახად გამოყო წლიური 900 რუბლი. ამავე გადაწყვეტილებით მონასტერში დაუშვეს მონაზონთა და მორჩილთა ათი საშტატო ერთეული.

სამთავროს მონასტრად დამტკიცების კვალობაზე, საეგზარქოსოს მხრიდან გამჭაცრდა ზედამხედველობა მონასტერსა და მის წევრებზე. მიუხედავად ამისა, იღუმენია დარია ერთგული მოსაგრე ცხოვრებისა და მონასტრის აღმშენებლობაში გაწეული სულიერი დგაწლის გამო, სრულ მხარდაჭერასა და მამობრივ პატივისცემას გრძნობდა საქართველოს ეგზარქოს ისიდორესაგან. საონოებით გამორჩეული მისი მოსაგრე ცხოვრება, მონასტრის აღმშენებლობაში გაწეული დგაწლი დიდი ხანია იპყრობდა საეგზარქოსოს ყურადღებას. თანადროული საზოგადოება, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, მოხიბლული იყო დარიათი და მისი სულიერი დებით ქრისტინათი, მინადორათი, მიტრადორათი.... ისინი თავიანთი სულიერი შრომით, საონოების საკუთარი მაგალითით აღაფრთოვანებდენ მონასტრში მისულ მომლოცველებს.

იღუმენია დარია ფალავამ მხოლოდ ექვსი წელი იმსახურა სამთავროს დედათა მონასტრის წინამდგრად. იგი სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. სულიერმა დებმა დაკრძალეს ტაძარში, ჩრდილოეთ კედელთან, სამკვეთლოს წინ. საფლავის ქვაზე ვეითხულობთ: „ქვეშ სახსოვარსა ამის ლოდისა განისვენებს მტვერი წმიდისა ამის მონასტრისა წინამდგვარისა დარიასი, ოდიშის თავადის ხიტჲ ფალავას ასულის, რომელიც ტრფიალებით ქალწულებისათა იღუმალ ლტოლვილ იქნა სამშობლოთ თვისით შემოსილი სამოსლითა მამაკაცისათა და აქა მოწევნილმან შეიმოსა სახე მონაზონებისა, რომლისა დედგბასა განახლდა წმინდა ესე მონასტრი და ეკლესია და შემდგომად მრავალთა შრომათა და დგაწლითა განვიდა ხორცო ამაოგან სა-

სურველსა თვისადმი იანვარსა 5-სა 1853-სა წელსა შობითგან თვისი 45 წლისა. ხოლო მარადის მგლოვარემან მისთვის სულიერმან დამან მისმან, მონასტრისა ხაზინისა მცველმან ოქროპირის ძის ასულმან ენკრატისმან ქრისტინამ უქმნა გვადრუცი ესე ღირსად სახსოვარსა მას თვისსა, რათა მხილველნი ლმობით წარმოთქმიდეთ: წმინდათა თანა განუსვენე, ქრისტე, სულსა მხევლისა მის შენისა დარიასსა, ამინ.“

საფლავის ეპიტაფია ლაკონურად გადმოგვცემს იღუმენია დარია ფალაგას დვაწლს სამთავროს განახლებისა და გამშვენების საქმეში. დედა დარიამ ღირსი ნინო ამილახვრის (უფროსი) თაოსნობით განახლებული სავანე ისეთ სულიერ სიმაღლეზე აიყვანა,

რომ რუსეთის საეკლესიო მმართველობის მიერ სამონასტრო ცხოვრებისათვის წამოყენებული ყველა უმკაცრესი მოთხოვნა დააკმაყოფილა და რუსეთის წმიდა სინოდმა 1847 წლის 18 ივლისს, წმიდა ანდრია პირველწოდებულის ხევნების დღეს, განახლებიდან სამი ათეული წლის შემდეგ, მონასტერს ოფიციალური სტატუსი მიანიჭა. ეს სამთავროს ახალფეხადგმული მონასტრის დედათა სულიერი მოღვაწეობის ჭეშმარიტად მაღალი შეფასება იყო. სამთავროში მოღვაწე დედებისა და მათი წინამდღვრის, იღუმენია დარია ფალაგას მაღალი სულიერების დასტურია სამთავროს კედლებში შედგენილი ტიბიკონი, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენს დროში შედგენილ მონასტრის ახალ წეს-განგებას.

## „ჩვენ მრავალი ღმილანი ბგერაშს, მაბრამ ის ბანსაპუთონებით ბანსხგავდება“

ღირსმა მამა გაბრიელმა, აღმსარებელმა და სალოსმა, სიცოცხლეშივე უთხრა თავის სულიერ შვილებს, ვისთვისაც ძვირფასი იყო წმიდა ბერის სიტყვა, „ჩემს საფლავზე ნახევარი საქართველო მოვაო“... წმიდა მამის ეს ნათქვამი, ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ მის მიერ თქმული, ცხადად აგვიხდა და ღირსი მამის საფლავი ჩვენი ხალხისთვის დიდ ნუგეშად იქცა... უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხეუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ისა და წმიდა სინოდის განჩინებამ ბერი გაბრიელის წმიდანად შერაცხვისა და მისი საფლავიდან აღმოყვანების შესახებ მოჟლი საქართველო გაამსხვევა...“

სამთავროს ფერისცვალების ტაძარში არსებულ მრავალ სიწმიდეთაგან მორწმუნებს გული უმაღლ ღირსი მამა გაბრიელის წმიდა ნაწილების მოსალოცად მიუწევთ. როგორც ცოცხლად მოსაუბრეს, ისე მიმართავენ ნუგეშისთვის და შედეგიც არ აყოვნებს...

გვესაუბრება მამა გაბრიელის მოყვარული მრევლი, დავით გარეჯის მამათა მონასტრის არქიმანდრიტი კირიონი (ონიანი):

— წმიდანები მუდამ ლოცულობებ ჩვენთვის, მოწყალენი არიან ჩვენი უძლურების მიმართ და შემწენი ჩვენი ცხოვრებისა. ამის ნათელი დადასტურებაა მამა გაბრიელი. როდესაც სარწმუნოებითა და სიყვარულით მიუეახლებით, მისი თანაზიარნი გხდებით და მის მაღლისმიერ სუფევას ცოცხლად განვიცდით. მამა გაბრიელის გარდაცვალებიდან დღემდე დროის მცირე მონაკვეთი ამ სინამდვილეს განცხადებულად ამტკიცებს. ღირსი მამა საღმრთო ძალმოსილებით, მაღლით უკვე უამრავ ადამიანს შეეწია გაჭირვების, ტკივილისა და განსაცდელის ჟამს.

საკმარისია, წმიდა მამა გაბრიელს სარწმუნოებითა და სიყვარულით მიეახლო, რომ მყისიერად იღებ შემწეობას. სწორედ ასეთი წმიდა მამები იწოდებიან ეკლესიის მიერ მსწრაფლშემწევებად. ალბათ მამა გაბრიელის საკვირველი ცხოვრებისა და მისი

მსწრაფლშემწეობის გამო ბრძანა ჩვენმა უწმიდესმა: „ჩვენ მრავალი წმიდანი გვყავს, მაგრამ ის განსაკუთრებით განსხვავდება“ (20.12.2012 წ.). მამა გაბრიელისადმი უწმიდესის განსაკუთრებული პატივისცემის გამომხატველია ის ფაქტი, რომ თავად აღასრულა საღმრთო ლიტურგია და მონაწილეობა მიიღო ახალ განსასვენებელში წმიდაცხედრის გადაბრძანებაში.

**საქართველოს კულტურის ისტორიაში აღმართ შეგახსინლამაზის განსასვენებელი არ შექმნილა**

უწმიდესის თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით და კეთილი ადამიანების შეწევნით შეიქმნა ლირსი მამა გაბრიელის განსასვენებელი. არქიტექტორია ბატონი თემურ ბერიძე. მისია იდეა იყო მამა გაბრიელის წმიდა ნეშტი ვარდისფერი ონიჭის ქვის სარკოფაგში ჩაბრძანებულიყო. მან სრულიად უანგაროდ იმუშაკა და დიდი შრომა გასწია. იშვიათი ვარდისფერი ონიჭის ქვის ირანიდან ჩამოიტანა და საკუთარი ქვის საწარმოში, შპს „კამარაში“, დაამუშავა ბატონმა დავით მაჭავარიანმა; და ყოველგვარი პირადი მოგების გარეშე, თავს იდო ეს საქმე; ხოლო ქვიშაქვის მხატვრული დამუშავება და მასთან დაკავშირებული სამუშაოები შეასრულა ბატონმა პაატა გიგაურმა. მინდა ვახსენო ყველა ის ადამიანი, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მამა გაბრიელის განსასვენებლის შექმნაში: პირველად მინდა მადლობა გადაგუხადო მეუფე იაკობს, ბოდბელ ეპისკოპოსს, ამ ისტორიულ საქმეში გულმოდგინე, ქმედითი თანადგომისთვის; მადლობას მოვახსენებ ბატონებს ლაშა პაპაშვილსა და ზურაბ ლიპარტელიანს, რომელთა ფინანსური დახმარება გადამწყვეტი იყო; ასევე მთავრობის ყოფილ თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი დარიბაშვილს, რომელმაც მთავრობის წევრებთან ერთად სწორი სახელმწიფო ეპისკოპოსი პოზიცია გამოხატა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოკრძალებული თანხა გამოყო, რათა სახელ-



#### ლირსი მამა გაბრიელის ლუსკუმა

მწიფოს მონაწილეობა მიეღო ამ დიდ სულიერ და ეროვნულ საქმეში; აქვე მადლიერებით მოვიხსენიებ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორს, ბატონ ნიკოლოზ ანთიქეს, რომელიც ძალზე დაგვეხმარა იურიდიული საკითხების გამართვასა და იუნესკოსგან სამშენებლო ნებართვის მოპოვებაში.

ლირსი მამა გაბრიელის განსასვენებლის შექმნასა და ამ საქმის თანამდევ ფაქტებზე საჯაროდ არ მისაუბრია, არც მომავალში ვაპირებ, ამიტომ ახლა ვიტყვი და დავამთავრებ. საქმის რჯულიერად და კეთილად წარმართებისათვის თავიდან პატრიარქთან მივედით. უწმიდესმა დიდი ინტერესი გამოხატა და მისი თანადგომა გადამწყვეტი იყო ამ წმინდა საქმის კეთილად განსრულებაში; მისი შეწევნით რეალურად გადაიღახა წინააღმდეგობები, ყველა მთავარი საკითხი უწმიდესთან თანხმდებოდა. ვაჩვენეთ ონიქსის ქვის ნიმუშიც, ძალიან მოქწონა; გავაცანით ჩვენი მოსაზრება, მოგვცა ლოცვა-კურთხევა, რაც საკითხის გადაწყვეტას ნიშნავდა, დანარჩენი უკვე გულმოდგინებისა და გარჯის შედეგი იყო.



გარდისფერი ონიქსის ირანის რესპუბლიკაში ჩამოტანა ბატონმა დავით მაჭაგარიანმა ითავა; საქმე სარისკო იყო, შეიძლება ირანში ჩასულიყო და შესაბამისი მოცულობისა და ხარისხის ქვა ვერ ეშოვა, არც დიდი თანხა გვქონდა. დავითი განიცდიდა, ხელცარიელი არ ჩამოვიდეო, ჩვენც ვნერვიულობდით, ამიტომ მისი წასვლის წინ დირს მამა გაბრიელს ლოცვით დახმარება და შეწევნა ვთხოვეთ.

დავითი დიდი ხანია მუშაობს ქვის დამუშავების ბიზნესში, ამიტომ ირანში საუკეთესო კავშირები აქვს. იქ ჩასულს ნაცნობი ადამიანები დახვდნენ, რომელნიც გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ ქვის მოძიებაში უნდა დახმარებოდნენ. ირანში ხუთდღიანი ძიების შედეგად, – და ეს ყოველდღიურად ასობით კილომეტრის გავლას ნიშნავდა, – გარდისფერი ონიქსის ქვა, რომელიც ჩვენ გამოგვადგებოდა, ვერ მოიძებნა. დავითი ძალზე დელავდა, ხოლო ირანები, რომლებიც მომსახურებას უწევდნენ, დაიღალნენ და ურჩევდნენ, ძიება სხვა დროისთვის, შემდეგი ჩასვლისთვის გადაედო. დავითი იმდენად განიცდიდა, რომ საჭმელსაც კი ძლივს მიირომენ.

ობამ დააინტერესა ირანელები, უკითხავთ, რისთვის სჭირდებოდა ეს ქვა და ასე რატომ ნერვიულობდა. დავითმა აუხსნა, და შეიძლება ითქვას, აქ მოხდა სასწაული: ირანელებმა რომ გაიგეს, ქვა წმიდა მამის განსასვენებლისთვის იყო საჭირო, თავადაც ძალიან დაინტერესდნენ. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთის მმა არის ირან-ერაყის ომის გმირი, დიდი გავლენა და კავშირები აქვს და სწორედ მას მიმართეს დახმარებისათვის. ამ პიროვნებამ გულთან მიიტანა ჩვენი გასაჭირი და შეატყობინა ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ქვის მწარმოებელს, რომელმაც დავითი და მისი თანმხლები ირანელები თავის მამულში დაიბარა და აჩვენა უმაღლესი ხარისხის, ექვსტონიანი ვარდისფერი ონიქსის ლოდი, რომელიც თურმე თავისთვის ჰქონდა შენახული. ეს ქვა გაცილებით ძვირი ლირდა, მაგრამ რახან წმიდანისათვის სჭირდებოდათ, არც შევაჭრებია, უყოფმანოდ დაუთმო იმ ფასად რაც დავითს ჰქონდა. ირანელებმა, რომლებიც დავითს ხუთი დღე ასობით კილომეტრ მანძილზე დაჰყვებოდნენ და მომსახურებაში გასამრჯელო უნდა აეღოთ, საზღაურზე უარი განაცხადეს, ეს ისეთი საქმეა, ფულს არ ავიღებოთ. აი, ამიტომ ვახსენე სიტყვა სასწაული, ეს მართლაც მამა გაბრიელის სასწაული იყო. ადსანიშნავია ისიც, რომ ამ ვარდისფერი ონიქსის ლოდისგან დირსი მამის ლუსკუმასთან ერთად გაყეთდა ბოდებეში წმიდა ნინოს განსასვენებელი, კვდერის ტრაპეზი და სამკვეთლო. ამით შეიქმნა ლამაზი ამბავი სამთავროს, დირსი მამა გაბრიელისა და წმიდა ნინოს სულიერი ერთიანობისა.

ჩვენი მთავარი მიზანი იყო, დირსი მამისთვის მოგვეწყო ისეთი განსასვენებელი, როგორიც მას ქართველი ერისაგან გაუთვნოდა, თან მაქსიმალურად მხატვრული და ეროვნულიც ყოფილიყო. შეიძლება სუბიექტური ვიყო, მაგრამ ვფიქრობ, საქართველოს ეკლესიის ისტორიაში მსგავსი სილამაზის განსასვენებელი აღბათ არ შექმნილა.

**თითქოს ამით მამა გაბრიელმა გვითხრა:**  
„**მე აქ ვარ და გისმენთ!**“

საკვირველი რამ მოხდა, როდესაც ფერი-სკვალების ტაძარში, განსასვენებლის დასა-დგმელ ადგილზე, მამა გაბრიელი გამოისახა. სარკოფაგის დასადგმელად ტაძრის იატაკზე თხელი, არმირებული ცემენტის ხსნარის ფილა დავასხით. დამის ორი საათი იქნებოდა, პაატა გიგაური და მისი დამხმარეები საქმეს რომ მორჩნენ. დილით მონოზნებმა დასხმუ-ლი ფილის ზედაპირზე საკვირველად გამო-სახული მამა გაბრიელი იხილეს; ზუსტად ისე, როგორც იცოდა ჯდომა, მისთვის სახასიათო, კუნკულ-ბარტყელითა და მანტიით შემოსილი, თითქოსდა თავისთავში ჩაკეტილი. როდესაც დედებმა დამირეკეს და მითხრეს, მამა გაბრიე-ლი გამოისახაო, ვაღიარებს, არ დავუკურებ. ვ-ფიქრე, ეს მათი ემოციების შედეგი იყო და ამიტომ ჩასვლა არ მიჩარია. დაგვიანების გამო დედა ნინომ ისევ დამირეკა და მოხო-ვა, ჩავსულიყავი. უპატივცემლობა რომ არ გამომსვლოდა, სამთავროში ჩავედი. ნანახით გაოცებული დავრჩი, – ჩვენ მიერ დასხმულ ცემენტის ფილაზე მართლაც მამა გაბრიელი იყო გამოსახული. პატრიარქიც ჩამობრძანდა, დააკვირდა და მისთვის ჩვეული სიმშვიდით გვითხრა: „**ეს სასწაულია!**“

დიახ, ეს იყო სასწაული და ბეჭედი იმი-სა, რომ მამა გაბრიელმა სათხო-იჩინა დღე-ვანდელ ადგილას თავისი განსასვენებლის დადგმა. თითქოს ამით გვითხრა: „**მე აქ ვარ და გისმენთ, როგორც ადრე, ჩემი მიწიერი ცხოვრების დროს.**“ ეს სასწაული მართლაც მნიშვნელოვანი იყო არა როგორც სასწაუ-ლით აღგზნებისთვის, არამედ როგორც არ-გუმენტი. დიახ, როგორც არგუმენტი, რადგან იმ დროს ზოგმა კადნიერმა მორწმუნებმ, რომ-ლებიც ეკლესიის ქმედებებს და უწმიდესის კურთხევით მოქმედ საქმეებს არასათანადო სარწმუნოებრივი გონიერებით უდგებოდა და ცრუ მისტიკანარევი სიბრძნით მსჯელობდა,

დაიწყეს კადნიერი საუბრები: ზოგი ამბობდა, რომ არ იყო მართებული მამა გაბრიელის წმიდა ნეშტის ამოსვენება; ზოგი ამოსვენებას იწონებდა, მაგრამ თვლიდა, რომ მამა გაბრი-ელს შესაბამისი პატივი არ მივაგეთ – მათი აზრით, მისი საფლავის ადგილზე მცირე ბა-ზილიკა უნდა აგვეშენებინა და მამა გაბრიე-ლის წმიდა ნეშტი იქ დაგვესვენებინა; ნაწი-ლი კი ჩვენს შერჩეულ ადგილს იწუნებდა და თვლიდა, რომ სარკოფაგი უფრო ცენტრალ-ურ ადგილას უნდა დაედგათ.

მადლობა ღმერთს და მამა გაბრიელს ამ სასწაულისთვის, ვინაიდან ყველა „ბრძნა-დმეტყველს“ აჩვენა, რომ სადაც პატრიარქმა გვითხრა და გვაკურთხა, სწორედ იქ სათ-ხო-ეყო მამა გაბრიელს განსვენება.

### ღირსი მამის ხატი და კანდლები

ღირსი მამა გაბრიელის ხატი, რომელიც მისი განსასვენებლის მთლიანობას შეადგენს, ხატმწერმა, ბატონმა ირაკლი ცინცაძემ დახა-ტა, მანვე შეადგინა ლუსკუმის კანდლების ეს-კიზებიც. ამ ხატს ხალხი უკვე საქართველოს ეკლესიის საგანძურს უწოდებს. ხატის



ღირსი მამა გაბრიელის სასწაულებრივი გამოსახულება იატაკის ფილაზე

ჭედურობა, ისევე, როგორც კანდლებისა, შეასრულა ბატონმა ზურაბ ჩიქოვანმა, ხოლო ტიხერული მინანქარი გააკეთა და კანდლები კონსტრუქციულად ააწყო ბატონმა ბესო ანანიძემ. ჩვენ შეგვეძლო, უკვე არსებული კანდლების მოდელებიდან აგვერჩია რომელიმე, მაგრამ მამა გაბრიელის სიყვარულითა და მკაცრად ქართული კანდლის შექმნის სურვილით განმსჭვალულებმა, მგონი, სრულიად ორიგინალური კანდლები შევქმნით; მოტივი ბედიის ბარძიმიდანაა აღებული. ერთ კანდლზე მთელი ტანით ამოჭრილნი არიან მაცხოვარი, ღმრთისმშობელი, ნათლისმცემელი, წმიდა ნინო, წმიდა გიორგი, წმიდანინი: მეფე მირიანი და დედოფალი ნანა, წმიდა ნიკოლოზი. მეორეზე – წმიდანები: ლირსი მამა გაბრიელი, აღმსარებელი და სალოსი; ლირსნი მამა იოანე და მამა იოანე (გიორგი) ბეთანიელი აღმსარებლები; ლირსი გაბრიელ ათონელი; ლირსი დავით გარეჯელი; ლირსი შიო მღვიმელი; ლირსი ანტონ მარტყოფელი და ლირსი გრიგოლ სანდოელი.

წმიდა გაბრიელ სალოსი მართლაც



არქიმანდრიტი კირიონი დირსი მამა გაბრიელ აღმსარებლისა და სალოსის ნაწილებთან

საკვირველი მამა. თანამედროვეები მას კიდევ ვერ აღვიქვამთ ისე, როგორც მომავალი შეაფასებს. არიან წმიდანები და დიდება მათ, მაგრამ არიან ეპოქალური მნიშვნელობის წმიდანები და ასეთი იყო მამა გაბრიელი. მჯერა, რომ მისი სახელი ჩვენს ერს, დედა ეკლესიას საუკუნეების განმავლობაში გაჰყვება. როდესაც მამა გაბრიელმა 1965 წლის 1 მაისს წითელი ბელადის უზარმაზარი სურათი ცეცხლს მისცა და უფალი იესო ქრისტე ადიდა, ამით დაამხო კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახული უდმერთობის – ღმერთის, სულის არსებობისა და მარადიული ცხოვრების უარყოფელი კერპი.

წმიდა მამა გაბრიელი იყო სულიწმიდის რჩეული, იმ სიმაღლისა, სადაც თითქმის იკარგება ეროვნული ხაზი, თუმცა მაინც საგრძნობი ქართული ხასიათით, საკვირველად თავისუფალი, მაგრამ არასოდეს განშორებული ეკლესიის სივრცეს. ის იყო ნათელი მოწმობა იმისა, რომ ჭეშმარიტი სახარებისეული ეკლესიური ცხოვრება მხოლოდ გვათავისუფლებს და შინაგანად განგვავრცობს.

ლირსმა მამა გაბრიელ აღმსარებელმა და სალოსმა მთელი თავისი ცხოვრება ქრისტეს მხეურვალე სიყვარულითა და ეჭვშეუვალი ერთგულებით გაატარა, მისთვის ადამიანის დანახვა სიხარული იყო. არ არსებობდა, „ქრისტე“ გულგრილად ეთქვა. ამ თითქოსდა მარტივი სახელის წარმოთქმისას ძალიან ხშირად ხმა უკანკალებდა და თვალებიდან ცრემლები სდიოდა. ხანდახან უფლის ამ სახელს განცდისაგან ბოლომდე ვერ ამთავრებდა. მასში ცოცხალს, ცხოველ სარწმუნოებას, ღმრთისა და მოყვასის საკვირველ სიყვარულს ხედავდი. მამა გაბრიელმა ანდერძად სიყვარული დაგვიტოვა, ღმრთისა და მოყვასის სიყვარული, რომ „სიყვარულმა უნდა გადაარჩინოს ქართველი ერი“.


ესაუბრა თუ ცაგურიშვილი

## ღ0780 მამა გაბრიელის მორიბი სასწაული

ჩვენი მცხეთა, სვეტიცხოველი, სამთავრო, მისი სიწმიდეები უამრავ მომლოცველს იზიდა- ვს არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუ- თხიდან, არამედ საზღვარგარეთიდანაც. წელს 15 ივლისს, სამთავროში იმყოფებოდა მოსკო- ველი მომლოცველების ჯგუფი. მათ განსაკუ- თრებული მოწიწებით მოილოცეს ღირსი მამა გაბრიელის, აღმსარებელისა და სალოსის წმიდა ნაწილები, აინტერესებდათ ყველაფერი მის შესახებ. ერთ-ერთმა სასულიერო პირმა მონასტრის დედებს გაუზიარა მეტად საინტე- რესო ამბავი, რამაც ერთხელ კიდევ დაგვარ- წმუნა, რომ მამა გაბრიელი დღესაც ახდენს სასწაულებს და მხოლოდ საქართველოში კი არა, რუსეთშიც:

„მე ვარ დეკანოზი მიხაილ ნემნონოვი, ვმსახურობ მოსკოვში. ამა წლის ივნისში მო- ვისმინე გაბრიელ ურგებაძის სასწაულებრი- ვი გამოცხადების ამბავი და აი, როგორ: ერთ ახალგაზრდას გავუწიე რეკომენდაცია სასუ- ლიერო სემინარიაში ჩასაბარებლად. მოსკო- ვის სემინარიაში სწავლის მსურველმა წი- ნასწარ უნდა გაიაროს ერთგვარი გამოცდა – გასაუბრება ეპისკოპოსსა და მდგდლებთან, რათა მათ შეიქმნან წარმოდგენა ამ ადამიან- ზე, არის თუ არა მიზანშეწონილი მისი დაშ- ვება სასულიერო სემინარიაში. ახალი წესის მიხედვით მეც მევალებოდა, ჰყოფილიყავი გასაუბრებაზე იმასთან ერთად, ვისაც რეკო- მენდაცია გავუწიე. რა თქმა უნდა, წესს ვერ გადაგუხვევდი და გაშევი. გამოცდის შემდეგ მე წამოვედი, ის კი დარჩა, რომ საჭირო საბუთები გაეფორმებინა. საღამოს დაგურუ- კე, მითხვა, რომ ყველაფერი მოაგვარა და მიამბო, რა მოხდა ჩემი წამოსვლის შემდეგ. გამოირკვა, რომ ყველაზე ბოლო აბიტურიენ- ტმა მოუთხოო მათ, რომ გამოცდებამდე ორი დღით ადრე, 2017 წლის 20 ივნისს, მეტროთი მგზავრობისას, მასთან მივიდა მოხუცი კაცი, გადაეხვია და უთხრა: „მე გაბრიელ ურგებაძე ვარ, გავალებ, ისწავლო ტროპარი „აცხოვნე, უფალო, ერი შენი...“ დაგჭირდებაო.“

ამ ახალგაზრდას წარმოდგენაც არ ჰქონდა,



ვინ იყო მამა გაბრიელი, ამიტომ დიდი მნიშვნე- ლობა არ მიუცია ამ შემთხვევისათვის – რამ- დენი ვინმე მეტროში გამოგელაპარაკება... და სულაც არ არის სავალდებულო, გააკეთო, რასაც უცნობი უცნაური მოხუცი გეტყვის.

გამოცდაზე რომ მოდიოდა, ახალგაზრდად სრულიად შემთხვევით ნახა ქალბატონი, რო- მელიც მამა გაბრიელზე წიგნს კითხულობდა, იცნო ყდაზე გამოსახულ ფოტოზე „თავისი მოხუცი“, გაიხსენა სახელი და გვარიც; დაინ- ტერესდა, მოძებნა ტელეფონით ინტერნეტში ის ტროპარი, რომელიც მამა გაბრიელმა დაავალა და ისწავლა ტექსტი, რაც არ გასჭირვებია, რადგან უმაღლესი განათლებითაა. წარმოიდგი- ნეთ მისი გაოცება და სიხარული, როცა სწო- რედ ეს ტროპარი პკითხეს გამოცდაზე...

ეს მინდოდა მეთქვა მამა გაბრიელის სასწაულებრივი გამოცხადების თაობაზე და ბედნიერი ვარ, რომ ღირსი გავხდი, მომელოცა მისი წმიდა ნაწილები.“

**სალომე ზეიადაძე**

## ღმილა მამის საფლავი საჟკუნეების შემდეგ გამობიჩნდა

„გვმართებს, დავემორჩილოთ დვთის სიტყვას“, – გვმოძღვრავს ღირსი მამა მაქსიმე აღმსარებელი, რომელმაც თავისი ცხოვრებით დვთის სიყვარულისა და მისდამი მორჩილების უდიდესი მაგალითი გვიჩვენა. უფალმა ინება და მსოფლიო მნიშვნელობის ამ წმიდა მამის საფლავი 14 სის შემდეგ გამოგვიჩინა მორწმუნებებს. წყაროების მიხედვით, წმიდა მამის საფლავი ცაგერის მახლობლად მდებარეობდა. ცაგერისა და ლენტების მიტროპოლიტის სტეფანეს (კალაიჯიშვილი) ლოცვა-კურთხევით წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ტაძარში მოსაპირკეთებელი სამუშაოების დაწყებისას, საკურთხევლში წმიდა ნაწილები გამოჩნდა.

წმიდა მაქსიმე აღმსარებელი VII საუკუნეში მოღვაწე, ქრისტიანულ სამყაროში გავრცელუბულ მონოთელიტურ ერესთან მებრძოლი წმიდა მამა გახლდათ. უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა ბიზანტიის მოსახლეობაში. მწვალებელი იმპერატორი და სასულიერო პირები ცდი-



მიტროპოლიტი სტეფანე (კალაიჯიშვილი)

ლობდნენ, ნეტარი მამაც ცრუ მოძღვრების მიმდევარი გაეხადათ. რომ ვერას გახდნენ, ხელი და ენა მოჰკვეთეს და თავის ორ მოწაფესთან ერთად ლაზიკაში გადასახლეს. ხანგრძლივი და მძიმე მოგზაურობის შემდეგ წმიდა მაქსიმე სქიმარის ციხესიმაგრეში გადასახლდა 662

წლის 13 (26) აგვისტოს. მისი ცხედარი იქვე დაკრძალეს. წმიდა მაქსიმეს საფლავზე სამი დვთიური ლამპარი ჩნდებოდა და არაერთი კურნება აღესრულებოდა. შემდეგ მისი ნაწილები აღმოიყვანეს და ცაგერთან ახლოს, მურის ციხის ძირში მდებარე წმიდა არსენის მონასტერში გადასვევნეს, რომელსაც შემდგომ (მისი ნეშტის იქ დასვენების გამო) წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელი ეწოდა.

დიდი ხნის განმავლობაში უცნობი იყო, სად მდებარეობდა ციხესიმაგრე სქიმარი, სადაც გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი დღეს ბი წმიდა მაქსიმე. 2003 წლის 21 ოქტომბერს, მეუფე სტეფანემ (კალაიჯიშვილი) რამდენიმე პირთან ერთად ლენტების რაიონის მაღალ მთაზე მიაკვლია იმ ადგილს, სადაც, სავარაუდოდ, წმიდა მაქსიმე აღმსარებელმა თავისი მოღვაწეობის უკანასკნელი დღეები დაჲყო. პირველწყაროზე დაყრდნობით, ამ ადგილს სქიმარი ეწოდებოდა. დღესაც ადგილობრივი მოსახლეობა მას ოდნავ სახეცვლილი ფორმით სკიმერს უწოდებს. – სქიმარი უნდა იყოს დღევანდელი სკიმერი, რომელიც ლენტების მაღალმთიან რაიონში, მდინარე სკიმერულასთან მდებარეობს.

წმიდა მაქსიმეს საფლავი დღესაც მურის ციხესთან, წმიდა მაქსიმე აღმსარებლის მონასტერში აგებულ მცირე ეკლესიაში განისვენებს. ტაძარი ძალზე მიუხედავი, ცუდ მდგომარეობაში იყო, რადგან მონასტერი წინა სამი საუკუნის მანძილზე არაერთხელ დაანგრიუს. ბოლო ნგრევა მან კომუნისტური

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დროს, XX ს-ში განიცადა.

1988 წელს, ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმევით, მოხერხდა იმ პატარა ეკლესიის აღდგენა, სადაც განისვენებს წმიდა მაქსიმეს ნეშტი. 2003 წელს აშენდა სამონასტრო საცხოვრებელი, ხოლო 2010 წელს გადაწყდა ამ მცირე ეკლესიის ინტერიერის განახლება, რათა შემდგომ დვოის წყალობით აშენდეს დიდი ტაძარი, ისე, რომ ეს პატარა ეკლესია დიდი ტაძრის ქვედა სართულზე, საკურთხევლის ქვეშ აღმოჩნდეს.

### მეუფე სტეფანე:

— 2010 წელს დავიწყეთ სამუშაოები, დროუბით გადავდგით ტრაპეზი, მოვშალეთ კანკელი და ბეტონის იატაკი (ეს ყოველივე 1988 წელს იყო გაკეთებული). ეს ფენაც ავხსენით. შემდეგ გავაკეთეთ ჯვრის სახით ორი სადაზვერვო თხრილი და მივადექით თავის ქალის ძვალს.

ამის შემდეგ, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხეუმ-აფხაზეთის მიგროპოლიტის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაიწყო არქეოლოგიური კვლევა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ რ. ხვისტანის ხელმძღვანელობით. თავდაპირველად გაითხარა საკურთხეველი, სადაც აღმოჩნდა ერთმანეთზე დაწყობილი




წმიდა მაქსიმე აღმსარებელი

ოთხი ადამიანის ნეშტი. სამარხში ერთ-ერთი (ზევიდან მეორე) მიცვალებულის მკერდის არეში დაფიქსირდა ვერცხლის ბუდეში დრმად ჩამჯდარი მოწითალო სარდიონის ქა (გამოსახულებიანი პირი ვერცხლის ბუდის ძირისაკენ იყო შებრუნებული, გარედან არ ჩანდა), გემა, რომლის მოსწორებულ პირზე ქალდმერთის გამოსახულებაა ამოჭრილი. გემას, რომელზეც გამოსახულება სიღრმეშია ამოჭრილი და ანაბეჭდზე რელიეფურ, ამობურცულ გამოსახულებას იძლევა, ინტალიო ეწოდება; მსგავს ნივთს ძველი აღმოსავლეთის ქვექნებსა და ანტიკური ხანის საბერძნეთში ძირითადად კუთვნილების დამადასტურებელ ბეჭდად იყენებდნენ.

ქართველი ანთროპოლოგის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ვლადიმერ ასლანიშვილის დასკვნიდან ჩანს, რომ ნაპოვნ ნეშტთაგან სამი აშკარად სხვა



ლირსი მაქსიმე აღმსარებლის წმიდა ნაწილები



### ცაგერის წმიდა მაქსიმე აღმსარებლის მამათა მონასტერი

ადგილიდანაა გადმოსვენებული, ხოლო ის, რომელიც მათ ქვემოთ განისვენებდა, როგორც ჩანს, თავიდანვე აქ იყო დასაფლავებული. უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის დაშორება მინიმალურია – 1-2 სმ. ისინი, როგორც ჩანს, ბერები არიან, მუხლის თავების ძვლები ძალზე დაცვეთილია, სავარაუდოდ, მუხლებზე ხანგრძლივი დგომით.

კბილების ცვეთის მიხედვით ბ-ნმა ვლადი-მერმა დაადგინა მათი მიახლოებითი ასაკიც. ერთი უნდა იყოს დაახლოებით 80-84 წლის, მეორე – 65-69 წლის, ხოლო მესამე – 70-74 წლისა. მისი დაკვირვებით, ისინი უწამებიათ: ჩანს თავში ჩარტყმის, ხელებსა და ფეხებზე მჭრელი საგნის დარტყმის კვალი, არ იძებნება ხელის ფალანგები, აშკარად შეინიშნება ინფექციის კვალი პირის ღრუს გარშემო მდებარე ძვლებში.

2011 წელს არქეოლოგებმა ო. ხვისტანმა და გ. რჩეულიშვილმა განაგრძეს არქეოლო-გიური კვლევა, გაითხარა ეკლესიის სრული პერიოდი, რის შედეგადაც აღმოჩდა განაშენიანების სამი ფენა. ძველი ნაგებობები სცდება ახლანდელი ეკლესიის ფარგლებს და, როგორც ჩანს, დიდი შენობის ნაწილს წარმოადგენს. ძველი ნაგებობების ორიენტაცია ზუსტად აღმოსავლეთისკენაა, ხოლო

ახალი ეკლესიისა – სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. წმიდა ნაწილების მდებარეობა ძველ ნაგებობათა ორიენტაციას ემთხვევა, ზუსტად აღმოსავლეთის მხარესაა.

გათხრების შედეგად გამოჩნდა ფართო კიბე, სამი საფეხური, რომელიც პირდაპირ წმიდა ნაწილებთან ჩადის, ხოლო კიბის მარჯვნივ მდებარეობს ყველაზე ძველ ფენას მიკუთვნებული ნაგებობის ღიობი, რომელიც, სავარაუდოდ, გასასვლელი იყო წმიდა ნაწილების თაყვანისცემის ადგილიდან.

სამხრეთის კედელთან აღმოჩენილია ვერტიკალურად აღმართული კიბების გადახურვა თიხითა გადახურული. შესაძლოა, აქ მალავდნენ საეკლესიო ნივთებს. მილებში და მათ ირგვლივ მკვეთრად შავი მოწაა, როგორც ჩანს, ეს იქ დამალული ნივთების ლპობის კვალია.

კრიმინალისტური მედიცინის ექსპერტმა, პროფესორმა ნ. ზვიაგინმა აღმოჩენილი წმიდა ნაწილები ლაბორატორიულად გამოიკვლია და დაასკვნა, რომ ნეშტები არ განეკუთნებიან კაგასიურ ტიპს, უფრო სამხრეთეუროული ტიპისა არიან. გარდა ამისა, მან ლაბორატორიულად შეადარა აღმოჩენილ ნეშტთა ნაწილაკები VII ს-ის კატაკომბურ ძვლებს და, სავარაუდოდ, ყველაზე ასაკოვანი ნეშტის ძვალი ამ ძვლების მსგავსია.

აღმოჩენილი წმიდა ნაწილებისთვის დავამზადეთ შესაფერი ლუსკუმა და ეკლესიაში, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე დაფარდანეთ. წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ლოცვა შეეწიოს სრულიად საქართველოს, ამინ!

**მთავარეპისკოპოსი სტეფანე; წიგნიდან „დმტრთო, შეწევნასა ჩემსა მოხედვნ...“ I; გამომც. „აღმსარებელი,“ თბ. 2015 წ.**

## „მრთი მართალი კაცის ცხოვრება“

ლადო ასათიანი 100 წლისაა

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ადრე, სულ 26 წლისა გარდაიცვალა, ლადო ასათიანმა იმდენი მოასწრო, ისეთი ლექსები დატოვა, რომ დღემდე პოეზიის ყველა მოყვარულის-თვის გამორჩეული და საყვარელი პოეტია, რაც დრო გადის, უფრო მნიშვნელოვანი ხდება მისი შემოქმედება, ქვეყნის სიყვარულით გამოტბარი ლექსები და პოემები: „კრანისის ყავაჩოები“, „ლხინი კახელებთან“, „ციხის სიზმარი“, „ფიროსმანი“, „მანანას“, „ბასიანის ომი“... კიდევ მრავალს განაცდევინებს სიამაყესა და სიამოვნებას.

ლადო ასათიანი 1917 წლის 14 იანვარს, ქუთაისში დაიბადა. მისი მშობლები, მელქისედეკ ასათიანი და ლიდა ცქიტიშვილი, პედაგოგები იყვნენ. ბავშვობა ცაგერის რაიონის სოფელ ბარდნალაში გაატარა. პოეზიის სიყვარული მამისგან გამოჰყვა, მექი ასათიანი ლხინის დროს სადღეგრძელოებს ყოველთვის ლექსად ამბობდა. მამიდა, ნინო ასათიანი, ყოველ საღამოს უკითხავდა პატარა ლადო-სა და მის და-ძმას საქართველოს ისტორიას. ბავშვობაში განცდილი სითბო მოგვიანებით პოეტის სტრიქონებში ჩაიდგარა, მანამდე კი ჯერ ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრა, მერე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. 1936 წელს გაზეთის რედაქციას მიაკითხა და პირველი ლექსი, „ჩვენ მოგვედით,“ დაუბეჭდეს. აქეები იქნებაო. ამ დროს სტუდენტი ლადო ქუთაისში ძალზე ხელმოკლედ, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. ჰქონდა ბევრი წიგნი, კედელზე – ვაჟასა და ბაირონის პორტრეტები.

1937 წელს ლადოს მშობლები დააპატიმრეს. მამა მალე გაათავისუფლეს, დედა კი უზბეკეთში გადასახლეს. ლადომ მას

ქუთაისის ციხესთან უკანასკნელად მოჰკრა თვალი, როცა დედა შავ დახურულ მანქანაში ჩასვეს და მას შემდეგ იგი აღარ უნახავთ. ლადო ასათიანი, როგორც ხალხის მტრის შვილი, ინსტიტუტიდან გარიცხეს და მხო-



ლადო ასათიანი

ლოდ ერთი წლის შემდეგ აღადგინეს. მაშინ თითქოს ლექსების წერასაც უკლო, თითქოს ის გაუნელებელი ცეცხლი, მუდამ რომ სწვავ-და პოეტს, გაქრა. გარკვეული დროის შემდეგ ლადო საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. კიროვის ქუჩის დასაწყისში მისცეს ბინა, რამაც ძალიან გაახარა. დიდი, ნათელი და ფანჯრიანი ოთახი იყო. პირველ რიგში გადაიტანა წიგნები თავისი თაროთი. თუმცა, ცოტა ხანში გამოუცხადეს, რომ არ შეიძლებოდა მისი იმ ბინაში ყოფნა და დააცლევინეს. ამ დროს ძალიან ბევრი წიგნი დაკარგა.

გთავაზობთ პოეტის ერთადერთი ქალიშვილის, შესანიშნავი ქალბატონის, მანანა ასათიანის მონათხობს. მას ჰგონია, რომ მამა ასხოვს სიცხიანი, მწოდიარე, მაგრამ მეოცნებებს, ხან კი ფიქრობს, რომ ასე ცოცხლად

ვიღი ქუდიც, რომელთაც სათუთად ვინახავ.

1939 წელს ლადო ასათიანი ჯარში გაიწვიეს. რკინიგზის სადგურიდან მეგობრებმა გააცილეს. მირზა გელოვანს საჩუქრად ხევსურული წინდები მიუტანია. მალე სამხედრო სამსახურიდან ავადმყოფობის გამო გაათავისუფლეს. 1940 წელს, ოუსთაველზე გაიცნო მომავალი მეუღლე ანიკო ვაჩნაძე. 1941 წელს მე გავჩნდი. მამას ძალიან უყვარდა მანანა ორბელიანი და მისი სახელი დამარქვა. ლადომ 24 წლის ასაკში უკვე იცოდა, უკურნებელი სენიორ რომ იყო დაავადებული. მთაწმინდაზე ასვლაც აღარ შეეძლო...

ლადოს პოეზიაში აბასთუმნის თემას დიდი ადგილი უჭირავს. აქ წელიწადში რამდენიმე თვეს ატარებდა, ამ დროსაც სიცოცხლის შეუპოვარი რწმენით არის სავსე მისი ნაკერწყლიანი ლექსი. უშიშარია და

იმედიანი მისი ყოველი სტრიქონი. განსხვავებულია მისი სიტყვა, კილო კი ლადო, უშუალო და ომანიანი. მეგობრისადმი გაგზავნილ წერილს ასე ასრულებს: „ჩემი ფილტვების მიხედვით, მე მალე უნდა მივიცვალო“.

„ანიკო, გენაცვალე, მე ცალკე ოთახში ვარ, ოთახი თბება, კარგად ვარ, ისე ძალიან მოსაწყენია აქ, ძლივს ვჩერდები. ფული მივიღე, სად გქონდა ასე სახელდახელოდ, ალბათ ისესხე. 1941 წელი, აბასთუმანი. ანიკო ვაჩნაძეს ლადო ასათიანისგან.“

24 წლის პოეტი ამ დროს უკურნებელ სენს ებრძოდა და უკვე სავსებით დავაჟკაცებული თავის უკანასკნელ სიმღერას მღეროდა. მერე მან თავისი სიცოცხლით, შემოქმედებითა და ნაადრევი სიკვდილით მთელი თავისი თაობის ბედი განასახიერა.

აბასთუმანში ლადო ხშირად დადიოდა, სამსახური უკეთებდა საგზურს, ხან დედა ყიდდა ნივთებს, ლადოს ნივთიც გაუყიდია, თავისი უკანასკნელი ფეხსაცმელიც, რომ საგზური



**ლადო ასათიანი და ანიკო ვაჩნაძე**

მამას დედას, ანიკო ვაჩნაძის მოგონებებიდან იხსენებს, თუმცა მთელი ცხოვრება ლადოს ნათელ მზერას გრძნობს:

„ჩვენი ოჯახი ძერუინსკის ქუჩის სამ ნომერ სახლში ცხოვრობდა, სადაც ლადოს მემორიალური დაფაც იყო გაპრული. სამსართულიანი რკინისმოაჯირიანი სახლის კარს შუშის ფანჯარა ჰქონდა. დედა ფანჯრიდან დამანახებდა ხოლმე ლადოს. მე ბებიასთან, დედაჩემის დედასთან, ვიზრდებოდი იქვე ახლოს. ნათლად მახსოვს, მამა როგორ მომევერა, ალბათ, მონაყოლიდან, თორემ რაშეიძლება ორწლინახევრის ბავშვს ახსოვდეს. ოთახში ბამბუკის ხისგან გაკეთებული მამისეული თარო გვქონდა, რომელზეც მისი წიგნები ელაგა. იქვე მუსიკალური ინსტრუმენტი, ტახტი და ერთი საწოლიც იდგა. სულ ეს იყო მისი ავლა-დიდება. თავთან საწერ-კალამი და რვეული ედო. მამას ნივთებიდან მხოლოდ დვთისმშობლის ხატი გადარჩა, სულ თან ჰქონდა. მძივები ბებიამ გამოაგზავნა, მოქსო-

ეშოვა და მამა სამკურნალოდ გაეშვა... იქ ხეოვნებაც ლადოს სახელი ჰქვია. ხშირად ადიოდა აბასთუმნის ობსერვატორიაში და იქიდან გადმოხედავდა ხოლმე შემოგარენს. აბასთუმნი მიიღო ლადომ თავისი პირველი წიგნი. მისი გამოსვლა მე ვახარე. მამა „ჩიტუნია მზეწვიას“ და „პაწაწინა ტელეგრაფს“ მექანდა. ტელეგრამა, რომელიც დედამ გაუგზავნა, ასეთი შინაარსისა იყო: „მამიკო, გიგზავნი შენს პირველ კრებულს ლადო გუდიაშვილის მხატვრობით.“ მამას დედასთვის უთხოვია, იქნებ შენ უთხრა გუდიაშვილს და ჩემი ლექსების კრებული მან გააფორმოსო. ლადო გუდიაშვილმა დაასურათა მისი ლექსების კრებული და შაქრის ქაღალდზე გამოიცა.

ასათიანი გარდაიცვალა. მამამ ერთი ხელი ასწია მაღლა და „მა...“ თქვა; მანანას ამბობდა, თუ მამას, ვერ გავიგეოთ.

ქართულ პოეზიაში ლადო ასათიანის მიერ დატოვებულ სინათლეზე გურამ ასათიანი ამბობდა, ეს სინათლე არასოდეს ქრება და თან უჩვეულო სითბოს გამოსცემს, ლადო ასათიანის სტრიქონებს თითქოს ალმური ასდისო. ეს მისი მშფოთვარე სული უმდგროდა საქართველოს ლურჯი ცისთავანს და უფლისციხესთან გაშლილ ყაყაჩოებს. პოეტთან ერთად მისი სტრიქონებიც მარადიულ ახალგაზრდებად დარჩენენ. თითქოს თავის ცხოვრებაზე ლაპარაკობს ლადო ვაჟა-ფშავე ლასადმი მიძღვნილ ლექსში:




ბარდნალა. ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმი

„სულ გარეთ და გაშლილ ჰაერზე მინდა ყოფნა, ზთითქოს მალე დავხუჭავ თვალებს და ვუდარ დავინახავ თბილისის ზეცას“, – ერთხელ წამოსცდა ლადოს. ყველაზე მეტად მამას ნახვა ენატრებოდა. 1943 წლის 23 ივნისის დილით, მამამ დედას უთხრა, მამა დამესიზმრა და ვიცი, აუცილებლად ჩამოვაო. მართლაც, ცოტა ხანში ამ ეზოს ჭიშკარი მელქისედეკ ასათიანს შეუდია და ლადოს ბინა უკითხავს; ჯერ მეორე სართულზეც არ იყო ასეული, როცა ლადო

„და რადგან მერგო ვიყო პოეტი, – ჩემი ცხოვრების საბედისწეროდ, რადგან ამქვეწნად მისთვის მოვედი, რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო, რადგან სხვა რამე, სიმღერის გარდა, ახლაც ვერ შველის ტკივილებს ჩემსას, – მჯერა, ამ დიად ბუნების კართან მე თვით სიკვდილსაც გარდავქმნი ლექსად!“ და გარდაქმნა კიდეც...

**თამარ თაგვაძე**

## ქართველების შესაფირი წმიდა ნიკოლოზ



წმიდა ნიკოლოზის საფლავი ქალაქ ბარში

წმიდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი უდიდესი მფარველი და მეოხია თითოეული მორწმუნე ქრისტიანისა. მისი მსწრაფლშემწეობა და სასწაულთმოქმედება მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ქართველებმა წმიდა ნიკოლოზისადმი განსაკუთრებული სიყვარული იმით გამოხატეს, რომ მას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-მ ივერიის ეკლესიის მესაჭეობა ჩააბარა და ქართველი ერის მფარველობა მიანდო. „არ ყოფილა შემთხვევა, ვინმეს ლოცვით მიემართოს წმიდა ნიკოლოზისათვის და მას არ შეესრულებინოს. იგი ისეთი მოწყალეა, რომ სხვა სარწმუნოების წარმომადგენლებს, მაჰმადიანებსაც კი უსრულებს თხოვნას.“ –

აღნიშნავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. წმიდა ნიკოლოზი თავის სასწაულთმოქმედებას არა მხოლოდ მისი სახელის წინაშე სიმდაბლით მღრცველი მორწმუნე ადამიანების ვეღრების შესმენით ამოწმებს, არამედ თავისი უხრწნელი ნაწილებიდან მირონდენითაც ყოველწლიურად, 9 მაისს, წმიდა ნიკოლოზის მირონიდან ბარში გადასვენების დღეს, აღესრულება წმიდანის საფლავიდან მირონის ამობრძანების საზეიმო მღვდელმოქმედება, რასაც მოლოდინითა და უდიდესი სისარულით ეგზებიან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ქრისტიანები.

დღეისათვის წმიდა ნიკოლოზის ნაწილები ქ. ბარის საკათედრო ტაძრის კატაკომბში, ქვის მართკუთხა სარკოფაგშია დასვენებული. საფლავი სამღრცველო დარბაზიდან რეინის მესერითაა გამოფოფილი და ჩაკეტილი. შიგნით შესვლის უფლება ეძლევათ მხოლოდ სასულიერო პირებს და და მსახურების აღსრულებისათვის, მაგრამ განსაკუთრებულ დღეებში მორწმუნე მრევლსაც რთავენ ნებას, შევიდნენ და წმიდანის საფლავი მოილოცონ.

9 მაისს, წმიდა ნიკოლოზის ხსენების დღეს, ქ. ბარში მომღრცველთა ნაკადი არ წყდება. მორწმუნები ამ დღეს მოუთმენლად ელიან მისი საფლავიდან მირონის ამობრძანებას. ეს საზეიმო მსახურება იწყება წინა დღეს და მთავრდება საღმრთო ლიტურგით, რომლის დასრულებისას და და მსახურები საფლავიდან მირონის ამოდების წესს აღსრულებენ.

ქართველებისთვის უდიდესი პატივი იყო, რომ 2017 წლის 9 მაისს მირონის ამობრძანების დღესასწაულში მონაწილეობის მიღების ბედნიერება ჰქონდა ბარის ქართული სამრევლოს წინამდღვარს, არქიმანდრიტ მოსესაც (ჭანკვეტაძე). ეს დღე ქართველების-

თვის იმითაც იყო გამორჩეული, რომ ბ-ნი ვანო და ქ-ნი ნანა ჩხარტიშვილების ოჯახმა წმიდა ნიკოლოზის საფლავი შეამკო უძვირფასესი საფარველით, რომელიც თბილისის ფერისცვალების დედათა მონასტრის მონოზგნებმა მოქარგეს. აბრეშუმის მოთეთრო ფერის ქსოვილზე, ცენტრში, სამეუფო ტახტზე დაბრძანებული წმიდა ნიკოლოზია გამოსახული. მის ორსავ მხარეს მედალიონებში მაცხოვრის, ღვთისმშობლისა და ოთხი მღვდელმთავრის: წმიდა ბასილი დიდის, წმიდა იოანე ოქროპირის, წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველისა და წმიდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის ნახევარფიგურებია ჩასმული. კომპოზიციას შემოსწერს და ცენტრალურ სცენას მკაფიოდ აჩარჩოებს ბროწეულის ფოთლოვან-ორნამენტული ვიწრო და საშუალო სიგანის ზოლი. გამოყენებულია ოქროს, ვერცხლისა და აბრეშუმის ძაფები.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ



საფარველის კურთხევისას

თავად აკურთხა წმიდა ნიკოლოზის საფლავის საფარველი და ღვთისსათნო ინიციატივისათვის დალოცა ჩხარტიშვილების ოჯახი. – მიუხედავად იმისა, რომ ეს მათი შეწირულობაა, ყველა ქართველის გულში დიდ სიხარულს იწვევს, ვინაიდან უცხოეთის მიწაზე აღსრულებული სასიკეთო საქმე თითოეული ჩვენგანისათვის საამაყოა.

წრფელი გულით მიძღვნილი ძვირფასი საჩუქარი რომ თავად წმიდა ნიკოლოზმა შეიწირა, ცხადპყო ერთმა ფაქტმაც: მისი უხრწნელი ნაწილებიდან ახლადამოღებული მირონის მთხვევა ქართველებმა რამდენიმეგილო-მეტრიან რიგში დგომის გარეშე შეძლეს. ფაქტიურად ისინი ერთ-ერთი პირველები მიეახლნენ უდიდეს სიწმიდეს. – თითქოს უმნიშვნელო დატალია, მაგრამ იქ მყოფი თითოეული ქართველი მორწმუნე მომხდარმა ენით გამოუთქმელი სიხარულითა და ღვთაებრივი მადლის სიტკბოებით ადავსო.



საფარველი

მონოზონი ნინო (სამხარაძე)

## „ჩემო პატრიარქო“

გდლენა ხრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,

ილია II-ს

მუსიკა  
ილემბია ქოთებაზისა

Moderato

The musical score is a four-page spread of sheet music. It features three vocal parts (Soprano, Alto, Bass) and a piano accompaniment. The vocal parts are written in three staves (C-clef for soprano, C-clef for alto, F-clef for bass) with lyrics in Georgian. The piano part is in the bass staff. The score is divided into four systems by vertical bar lines. The first system starts with a piano dynamic (p) and a soprano vocal entry. The second system begins with an alto vocal entry. The third system begins with a bass vocal entry. The fourth system concludes the page. The music is set in common time (indicated by '8'). The vocal parts sing in unison or in harmonious chords. The piano part provides harmonic support with sustained notes and chords.

საგალობლის მუსიკის ავტორია ილემბია ქოთებაზი (კოპალიანი), ტექსტისა – დარია ჩაკვეტაძე. საგალობლის შექმნის იდეა დაკავშირებულია ამბავთან, რომელიც უწმიდესმა 1991 წელს უამბო დედა იღუმენის, თუ როგორ ჩაიბარა უკანასკნელი აღსარება თავისი სულიერი მოძღვრის, არქიმანდრიტ შიო ძიძავასაგან (გარდაიცვალა 1969 წლის მაისში) და როგორ აზიარა გარდაცვალების წინ: „სასიკვდილო სარეცელზე მყოფი, მძიმედ სნეული მამა შიო თავის მოძღვარს, მამა კონსტანტინეს (ქვარაია) ელოდებოდა, რომ უკანასკნელი აღსარება ეთქმა და ზიარება

მიეღო, მაგრამ მოძღვარი მოსვლას აგვიანებდა. მომაკვდავი შფოთავდა, გადაწყვეტილება მივიღე, აღსარება მე ჩამებარებინა, რათა მისი ტკივილი ოდნავ შემემსუბუქებინა; ასეც მოხდა, აღსარებისა და ზიარების შემდეგ მამა შიო დამშვიდდა, ჩემი ხელი გულში ჩაიკრა, მომეფერა და მითხრა: „ჩემო პატრიარქო, ჩემო პატრიარქო.“

იმჯამად ჩვენი უწმიდესი ეპისკოპოსი ბრძანდებოდა, ღვთივგანბრძნობილმა მოძღვარმა წინასწარ განჭვრიტა, რომ მისი სულიერი შვილი საქართველოს ეკლესიის საჭეომჟყრობელი გახდებოდა.



**ქათოლიკოს-პატრიარქი ილია II და სამთავროს იღუმენია ქეთევანი**

ქართულ საგალობელს მადლი დაეფინა,  
სული იბერული სუნთქავს სამზიანოს;  
ზეცით დაფერილი წმიდა თვალები გაქვს,  
სულის სითეთრეში მადლი დაგფრთიანობს.

სიობოდათოვლილმა ჯვარმა ილიბანა,  
საროდ გესირმება სული მოსალბუნე.  
ბერთა იბერიას ნატრის მწირი ბანა,  
მირონ გადმოდვივით მცხეთის ხოდაბუნებს.

ლომისს ეფონება მამის მაისობა,  
ცაჲ სმარაგდომ სულში ჩაიქმიე,  
გული გაგვიწმიდე, ტაბილო პატრიარქო,  
დარდით დასეტყვილი მადლით ჩაგვინისლე.

ზეცის დედოფალმა შვილად დაგიგულვა,  
იბერთ მამობრივი სული დაგვიმორჩე;  
აღმაშენებელმა შტახსი გიდავითნა,  
ქრისტეს ეკლებმა კი შუბლი დაგიკოცნეს.

ლოცვის სინატიფე ათოვს ღუდუშაურს,  
აჩხოტს სულიწმიდის მადლი აცისკარებს,  
ზეცას ქერუბიმობს რქამ დავითური,  
ქრისტესშობის მადლით გერგებ გაწმიდანებს.

ქართულ საგალობელ გუმბათს ეკამარა,  
ვახტანგ მადლისამოსად მცხეთას იპირველებს;  
მამა დაგვილოცეთ, ზეცად, იბერიავ,  
თამარ გვირგვინოსან გვირგვინს გიმზისფერებს.

ჯვარო უმძიმესო, ჯვარო უუტებესო,  
სოფლის სიშავიდან მადლი ამოძოვე, —  
მამა დაგვილოცეთ, დიდნო წინაპრებო,  
ჯვარო უძლეველო, მამა დაგვილოცე!

მირკანს მოუსხია კვართის მოსასხამი,  
მცხეთის სიწმიდეში მადლი დაგფრთიანობს.  
ზეცით დაკვებილი წმიდა თვალები გაქვს,  
„ჩემო პატრიარქო, ჩემო პატრიარქო!“

## „ჩვენო უფალთან მიმზანებელო“

1997 წელი. რამდენიმე ოვე სამთავროს დედათა მონასტერში კეთილმოწესე ვიყავი. ერთხელ იღუმენია ქეთვებანმა პატრიარქთან გამგზავნა რაღაც საკითხების შესათანხმებლად. ერთ-ერთი ეხებოდა მონასტერში ჭიშკრიდან ტაძრამდე ძვირფასი ჯიშის ვაზის ხეივნის გაკეთებას. ეს იდეა ბატონმა ჯუმბერ პატიაშვილმა მოგვაწოდა, თან დასმინა, „ყველანაირ ხარჯებს მე გა-

ლი მოჰქონდა. ენით გამოუთქმელ ბედნიერებას განვიცდიდით. პატრიარქის სიბრძნითა და მისი სიტყვების ძლევამოსილებით ხშირად გაკვირვებული ვრჩებოდი. იგი ჩვენს გულისიტქმას კითხულობდა და ისეთ თემებზე გვესაუბრებოდა, რომ სულიერი ჯურნება მიგველო.

1998 წელი, 19 ივლის ვაჟიშვილი დამედუბა ავტოვარიით. ამ მოულოდნელ

მა მძიმე განსაცდელმა ლამის სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო. მარილის სვეტად ვიქეცი, ამ სამყაროს აღარ ვეკუთვნოდი, ცრემლი გამიშრა, გათოშული ვიჯექი. ასე მეგონა, წინ უცხო მიცვალებული მესვენა და არა ჩემი შვილი. ამ მდგომარეობაში მყოფს ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ფსიქოლოგიურად კარგად აღარ ვიყავი.

სადამოს მონასტრიდან დამირკეს და უწმიდესის კურთხევა გადმომცეს: „ეს განსაცდელი ისე მიიღოს, როგორც მონოზონს შეეფერება, იმ რწმენით, რომ ყველაფერი დვთის ნებაა, იმ ნების სიღრმეს ჩვენ ვერ



ვიდებ და ვაზის ჯიშებსაც შევარჩევო“. ამის შესახებ უწმიდესს მოვახსენე... ის ჩაფიქრდა და ორი-სამი წელის შემდეგ მიპასუხა: „დედაო, იდეა არაჩვეულებრივია, ძალიან კარგი, მაგრამ მონასტრისთვის შეუფერებელი.“ გამიკვირდა, თუ იდეა კარგია, შეუფერებელი როგორდა იქნება-მეთქი, მაგრამ ვიდრე რაიმეს ვკითხავდი, უწმიდესმა განაგრძო: „ეზოში შემოსული მომლოცველის ყურადღება მრავალსაუცხოვანმა, დიდებულმა ტაძარმა უნდა მიიციოს და არა ყურძნის მტევნებით დახუნძლულმა ლამაზმა ხეივანმა.“ – შემდეგ გაიღიმა და საუბარი ასე დაასრულა: – „თანაც თუ ყურძნი მწიფე და მომლოცველი მშიერი...“ მეც გამეღიმა, მივხვდი, რომ უწმიდესი მართალი ბრძანდებოდა და სწრაფად დავეთანხმე.

უწმიდესის სამთავროში მობრძანება დედებისთვის ცაზე მზის გამობრწყინებას ჰგავდა, რადგან ყოველთვის სიმშვიდე და სიხარუ

ჩავწერებით და რადგანაც მან ასე ინება, ასეა საჭიროო.“ ისეთი საოცარი მადლომოსილება ჰქონდა ამ კურთხევას, დღესაც მიკვირს. ვერ ვიტყვი, რომ დარდი და წესილი ადარ მქონდა, მაგრამ სადი აზროვნების უნარი დამიბრუნდა და გულის ნაწილში სიმშვიდემ დაისადგურა. სწორედ ამ სიმშვიდემ გადამატანინა ესოდენ მძიმე განსაცდელი.

იღუმენია ქეთვების კურთხევით, მონასტერში ორმოცი დღის შემდეგ დავბრუნდი. დღო გადიოდა და ჩემი წესილი ისევ იზრდებოდა. ვერ ვეგუებოდი ესოდენ დიდ დანაკარგს. შეილი მენატრებოდა, ხშირად ვტიროდი. ასეთ მდგომარეობაში მყოფმა, კიდევ მივიღე ნუგეში უწმიდესისგან. პატრიარქი მონასტერში მობრძანდა, ყველა სითბოთი და სიყვარულით დაგვლოცა, გვესაუბრა მორჩილებასა და თავმდაბლობაზე.

უწმიდესი წამოდგა, ყველას თვალი გადაგვაჭლო და მზერა ჩემზე შეაჩერა, მომიახლოვდა და

მკითხა: „დედაო, ასეთი მოწყენილი, ნაღვლიანი სახე რატომ გაქვს, რა გიჭირს?“

ცრემლები ჩამომცვივდა და ძლიერ ვუპასუხეს: შეილი გარდამეცვალა-მეთქი. მეტის თქმა ვერ შევძლი მოალებული ცრემლების გამო. უწმიდესი მამობრივი სიყვარულით მომეურა, ჩემი თავი გულთან მიიდო, თავზე ხელი გადამისვა და საოცრად დამამშვიდებელი ხმით მითხრა: „მახსოვს, დედაო. შენი შვილი ყოველთვის შენ გვერდითაა, მასზე როდესაც ფიქრობ. ის შენ გაფერება, ცრემლებს გიმშრალებს და წუხს, ასეთ მდგომარეობაში რომ გხედავ.“ ეს სიტყვები ჩემს გულს სალბუნად დაედო, მხეობა და სიმშვიდე დამიბრუნდა. გმადლობ, უფალო, ასეთი ბრძენი მწერმსმთავრის ბოძებისთვის. იგი ხომ ჩემი და კიდევ უამრავი ადამიანის სხვადასხვა განსაცდელის იმედად და ნუგეშად მოგვივლინებ!

თითქმის ერთი წლის შემდეგ, უწმიდესის კურთხევით, საგარეჯო-გურჯაანის ეპარქიაში გადამიყავნეს, რომელსაც ეპისკოპოსი ანდრია (გვაზავა) განაგებდა. ამ პერიოდში ჯოხით დავდიოდი, ფეხები მაწუხებდა. დროთა განმავლობაში კი ჭოჭინით სიარულმა მომიწია.

2015 წელი. თბილისში წმიდა სამების საკათედრო ტაძარში უწმიდესის სადამოს მსახურებას ვესწრებოდი. მთელი ეს დრო გულში ვევერებოდი დიდ მამას და ღმერთს ვთხოვდი, მისთვის ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე მიეცა. ლოცვა დამთავრდა. უწმიდესი დაცვის თანხლებით ამბიონიდან კიბეებზე ჩამოდიოდა. უცებ შეტრიალდა და მრევლისკენ წავიდა ჩემი საპირისპირო მიმართულებით; მაშინ შევამნიე, რომ იქ ინგალიდის ეტლში შუახნის მამაკაცი იჯდა. უწმიდესი მიუახლოვდა, დალოცა, თავზე ხელი დაადო და რაღაცას ქსაუბრებოდა. ამ მამაკაცს ბედნიერებისგან სახე გაუბრწყინდა, ალბათ, იმ წუთში არანაირ წუხილს ადარ გრძნობდა, შეჭყურებდა უწმიდესს და მთელი გულით ხარობდა. მე მომორებით სკამზე ვოჭები, წინ ჭოჭინა მედგა, ვუჟურებდი ამ სიხარულით სავსე ადამიანს და ვფიქრობდი: ღმერთო, მეც რა ბედნიერი ვიქნებოდი, ასე რომ დაველოცემეთქი. გაფიქრება ვერ მოვასწარი, რომ ვხედავ, უწმიდესი ჩემკენ მოდის. დაცვაც

კი გაკვირვებული მოჰყვებოდა. იგი თითქმის მომიახლოვდა, მოულოდნელობისგან ისე დავიბუნი, რომ ფეხებში ძალა საერთოდ წამერთვა. სამჯერ წამოვიწიე ასადგომად და სამჯერვე მოწყვეტით სკამზე დავვარდი. ძალიან შეგწუხდი და შეშფოთებულმა ვთქვი: ვაიმე, ვერ ვდგაბი-მეთქი. ხმაკანკალებულს თვალებზე ცრემლები მომადგა. უწმიდესმა მამობრივი, თბილი დიმილით გამიღიმა და მითხრა: „არა უშავს, დედაო!“ დამლოცა, თავზე ხელი დამადო და გამოუთქმელი სიხარულითა და ბედნიერებით ამავსო. ალბათ, ათი წუთი ვიჯექი სკამზე და ვტიროდი, – ეს სიხარულის ცრემლები იყო.

გმადლობო, უწმიდესო, რომ ასეთი სიოთბო და სიყვარული მაჩუქეთ! თქვენ მიმართ ჩემმა დამოკიდებულებამ ხელში კალამი ამაღებინა და ლექსად მათქმევინა მოკრძალებული სამადლობელი:

„უამთა სიავით დადლილ-დაქანცულს,  
გხსურს, რომ მოგაროვათ სამადლობელი,  
ჩვენს გულებიდან ამოკრებილი  
ხმატკბილ სიტყვათა საგალობელი.  
თქვენა ხართ ჩვენთვის მყარი კედელი,  
მყუდრო საგანე და თბილი კერა;  
რამ დაგვავიწყოს თქვენი დიმილი  
და სიყვარულით აღვსილი მზერა.  
ერზე ფიქრსა და ერზე ზრუნვაში  
რამდენჯერ ღამე გითენებიათ  
და მუხლმოდრეკილს მურვალე ლოცით  
სამწესო უფლისთვის გივედრებიათ.  
უამრავ შვილთა აღზრდით დამაშვრალს,  
რამდენჯერ ტვირთი დაგმიმებიათ,  
მაგრამ ჩვეული ჩემი ტკიფილით  
ტკირთი ბოლომდე გიტარებიათ.  
ვინ არ გაოცეს თქვენი მხეობით  
ან თავდადებით და სიყვარულით;  
ვინ ჩასწვდეს თქვენი სიბრძნის სიღრმეებს  
და არ მოგმაროთ მან სიხარულით:  
უფლის რჩეულო მწყემსო კეთილო,  
უკეთურ ძალთა დამმარცხებელო,  
თბილო აღმზრდელო, მასწავლებელო,  
ჩვენო უფალთან მიმყვანებელო!“

სექტემბერის თონი (თვაური)

## მორჩილება ყველაფერზე აღმატებულია

გინახავს მონოზონი, რომელიც არ ამბობს, „შემინდე და მაკურთხე?“ – ნუ ელოდები, რომ იგი წარემატება.

„შემინდე და მაკურთხე!“ – ეს ორი სიტყვა შემუსრავს ეშმაკის რქებს.

მორჩილება ყველაფერია. მონასტერში მორჩილებისათვის მოვედით. ჭეშმარიტი მორჩილებით ჭეშმარიტ ლოცვას ვსწავლობთ.

ყველაზე მეტად ორი რამ გვიშლის ხელს: „მე“ და „რატომ?“ თუ ეს ორივე გვაქვს, მაშინ ჩვენი ლოცვა უნაყოფოა და სიმშვიდეც არ გვაქვს.

აკეთე ის, რასაც გეუბნებიან. ვინც გიბრძანებს, პასუხს ის აგებს, შენ კი მშვიდობასა და ცათა შინა გვირგვინს მოიპოვებ, თუკი უსამართლოდ გაგკიცხავენ.

სიყვარულისა და მორჩილების გარეშე ვერ გადავრჩებით. მორჩილება ყველაფერზე აღმატებულია.

გსურს სულიერება მოიპოვო? – თავი აიძულებ ჯერ მორჩილებისთვის, შემდეგ იესოს ლოცვისა და სხვა დანარჩენისათვის. ჩვენი მორჩილება სიხარულით აღვასრულოთ და არა უხალისოდ ან დრტვინვით. წარმოიდგინე, რომ შენი ბერი ან რომელიმე მმა რაიმეს გეუბნება. უპასუხე: „კურთხეულ იყავნ!“. არ განსაჯო, მოგწონს ნათქვამი თუ არა. „კურთხეულ იყავნ!“ – და მორჩა.

წმიდა მთაზე ცხოვრობდა ერთი მონოზონი, სახელად მაქსიმე, რომელზეც ყველა ამბობდა, წმიდა მონოზონიაო. მამა ეფრემმა მასთან შეხვედრა მოისურვა და კატუნაკიდან დიდი ლავრისაკენ გაეშურა. გზაში მან თავის თავთან საუბარი დაიწყო:

– მისმინე, განა ბერმა იოსებმა რაიმე კარგად

ვერ გითხრა და ამიტომ სხვასთან შესაკითხად უნდა წახვიდე?

– რა თქმა უნდა, არა. ბერ იოსებს არანაირი სიცარიელე არ დაუტოვებია.

– მაშინ მამა მაქსიმესთან რატომ მიდიხარ? იმიტომ, რომ იგი შენს ბერს შეადარო?

მამა ეფრემი მაშინვე უკან მობრუნდა და კატუნაკში, თავის კელიაში წავიდა. შემდეგ იგი ამბობდა: „გამოიჩინეთ მორჩილება და მხოლოდ იმ ბერს შეეკითხეთ, ვისთანაც ღმერთმა მიგიყვანათ. სხვა არავინ ეძუბოთ“ (იგულისხმება ბერი იოსები ისიქასტი, ვისთანაც მამა ეფრემი სასაუბროდ და ლიტურგიის აღსასრულებლად დადიოდა).



მორჩილი ჰგავს ქადალდს, რომელზეც არაფერი წერია. როდესაც იგი ემორჩილება, ღვთის წინაშე პასუხს თვითონ კი არ აგებს, არამედ მის მაგივრად ბერია პასუხისმგებელი. თუკი ბერს განიკითხავ, მორჩილი არა ხარ.



გინახავს მონოზონი, რომელიც კითხვებს არ სვამს? იგი ხიბლში ჩავარდება. ხიბლის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია შეკითხვა.



ქრისტოდულე კატუნაკელი: გვქონდეს ურთიერთსიყვარული და მორჩილება. მონოზნური ცხოვრება ნიშნავს „შემინდევთ!“ და „მაკურთხეთ!“ საკუთარი ნების მოკვეთა – მახვილია, მოწამეობაა, მაგრამ სხვაგვარად შეუძლებელია. უდიდესი საქმეა, სიმშვიდე მოუტანო შენს ბერს და მისი კურთხევა მიიღო. ნუ მოუსმენთ საკუთარ ზრახვას, არამედ ვისმინოთ, რას გვეუბნება ბერი. საკუთარი ზრახვის მორჩილება ეშმაკის მორჩილებაა, ბერის მორჩილება – ქრისტეს მორჩილება.

ემანუილი, ახალი სკიტიდან: „ჩვენი მორჩილება არ უნდა იყოს „ჩვევა“, ე.ი. „რადგან მონოზვნები ვართ, უნდა დავემორჩილოთ“. არა, ჩვენ მორჩილებით უნდა ვცოცხლობდეთ, მისით ვსუნთქავდეთ, გვწამდეს, რომ მორჩილება არსობის პურის მსგავსია: თუ არ ვიკვებებით, დავიხოცებით. თუ არ ვმორჩილებით, ვერ ვცხონდებით. მორჩილება უნდა გამოვიჩინოთ იმის მიუხედავად, იღუმენმა თუ სხვა მონოზონმა გვთხოვა რაიმეს გაკეთება“.



**ბერი იოსებ ისინასტი**

- ვცხონდებით? — პიოთხეს მმებმა ბერ არსებ დიონისიატელს.
- თქვენი არ ვიცი, — უპასუხა ბერმა, — მე ვი ვცხონდები.
- რატომ ამბობ ამას, გერონდა?
- იმიტომ, რომ მე პატარა ბავშვივით გავხდი — ყველაფერს ვაკეთებ, რასაც მეუბნებიან.

მოძღვარი დიონისე: „შენმა ბერმა ყველაფერი უნდა იცოდეს შენ შესახებ, ყველაფერი მისი კურთხევით უნდა აკეთო. შენზე უმცროს მონოზვნებს ისე შეხედე, თითქოს შენზე 15 წლით უფროსნი არიან. თუკი ლიტურგის დროს რაიმეს გაკეთებას დაგავალებენ, არ შეეწინააღმდეგო, წადი და გააკეთე, თან იესოს ლოცვა აღასრულე (საერთოდ, მონოზონი ყოველთვის უნდა ამბობდეს იესოს ლოცვას.) და იცოდე, რომ ანგელოზი წირვაზე მდგომთა შორის პირველთა სიაში ჩაგწერს. ასე შინაგან მშვიდობასაც შეინარჩუნებ და სხვებთანაც მშვიდობა გექნება. არ უნდა ვიქცეთ დაბრკოლების მიზეზად“.

ხარლამპი, დიონისიატელი იღუმენი: „როდესაც რამდენჯერმე დავზარალდი თვითნებობისაგან, მაშინ დავრწმუნდი, რომ მოძღვარი მართალია და შემდეგ კეთილგონივრულად ვიქცეოდი. მე შევწყვიტე ფიქრი იმაზე, რა მეაკეთებინა. ვამბობდი: „რასაც ბერი იტყვის“. მე ადარაფერზე დაფიქრებულვარ.

- გააკეთე, მამაო, ეს. — მეუბნებოდა ბერი.
- კურთხეულ იყავნ!
- წადი, მამაო, იქ.
- კურთხეულ იყავნ!

როგორც მორჩილს, მე ენა არ მქონდა — მხოლოდ ყურები. ბერი რაღაცას მეუბნებოდა — და მე მაშინვე გავრბოდი მისი დავალების შესასრულებლად. ამით დიდი მადლი მივიღე. როდესაც აღარაფერში ვეწინააღმდეგებოდი მოძღვარს და მმებსაც კი, ჩემთან ხშირად მოდიოდა მადლი. მადლით აღსავსე ვიყავი, როდესაც მორჩილებას ვიჩენდი.

**„ათონური პატერიკები“: თარგმნა მონოზონმა უვერიამ (ბესკარავაინი)**

## მონასტრის ფოტოგაფიანი დაჯილდოვა



2017 წლის 17 ივნისს თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში სრულიად საქართველოს თავად-აზნაურთა დარბაზობა გაიმართა. ამგვარ ყოველწლიურ შეხვედრაზე თავად-აზნაურთა საკრებულო აჯამებს თავის მუშაობას და ქვეყნის სასარგებლო საქმიანობით გამორჩეულ ადამიანებს აჯილდოებს.



თავად-აზნაურთა საკრებულო, ისე, როგორც მთელი საზოგადოება, კარგად იცნობს სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვრის, იღუმენია ქეთევანის (კოპალიანი) 26-წლიან მოსაგრეობას. მისი მოღვაწეობის მაღალი შეფასების მაჩვენებელია ჯილდო, რომელიც დედა ქეთევანს გადაეცა; მასში აღნიშნულია, რომ „საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულო აჯილდოებს ქეთევან დედოფლის მედლით იღუმენია ქეთევანს (კოპალიანი) ქვეყნისა და ერის წინაშე დამსახურებისათვის.“

დიდი სიყვარულით ვულოცავთ დედა იღუმენიას ღირსეულ ჯილდოს, ვუსურვებთ წმიდა დიდმოწამე ქეთევანისა და უველა წმიდანის შეწევნას თავის ფრიად პასუხსაგებ, ერისთვის საჭირო და აუცილებელ საქმიანობაში.



## პურთხევა

უწმიდესისა და უნეტარესის, სრული-  
ად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,  
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და  
ბიჭვინთისა და ცხეუმ-აფხაზეთის მიტრო-  
პოლიტის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით  
2017 წლის 12 ივნისს, პეტრე-პავლობის



ბერდიაკონი ილია  
სამთავროში მსახურებისას

2017 წლის 6 მაისს, გიორგო-  
ბის დღესასწაულზე, სამთავროს  
წმიდა ნინოს დედათა მონასტერ-  
ში არქიმანდრიტმა ლაზარემ  
(გაგნიძე) მორჩილებად აკურთხა  
ნანა ჯაყელი, სახელად ეწოდა  
გაბითა და ნანა კორახაშვილი,  
— ეწოდა ალექსანდრა.



ეპისკოპოსი იაკობი ბერდიაკონი  
ილიას ხელდასხმისას

დღესასწაულზე, ბოდბელმა ეპისკოპოსმა  
იაკობმა (იაკობიშვილი) ბოდბის წმიდა  
გიორგის ტაძარში დიაკვნად აკურთხა  
ბერი ილია (თვალიაშვილი).



მონასტრის დები მოწილების აღსრულებისას







აწ მიგებად თვთოუელისა კითხუსა მიეც ღმერთისა  
შემთხვე, და სისარულითა მოუმედგრებელად:

კითხუა: რამსათვის მოსარულ-ხარ, ძმაო, შევრდომით,  
წმიდასა ამასა მსხურპლის-შესაწირავსა, და  
წმიდათა ამათ კრიტულოთა?

მიგება: მნეავს განმორებად სოფლისაგან, პატიოსანო მამაო.

კითხუა: ნებითა შენითა ღირს-იქნებია ანგელოსებრივსა  
ამას სახესა, და წესისა გუნდთა მონაზონთასა?

მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.

წინამდებუარმან: ხოლო რაყამს აღგირჩევიეს კუთილი  
და სანატრული ესე საქმემ, უკეთე გნებავს  
განსარულებად კუთილისა საქმისა, შრომითა,  
რედუნებითა და ტკივილითა განსარულდების.

კითხუა: ნებით გონებითა შენითა მოხუალა წინაშე უფლისა?

მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.

კითხუა: დაადგრებია მონასტერისა განუშორებელად,  
ვიდრე უკანასწერად აღმომმწერუადმდე?

მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.

კითხუა: დაიცავა ქალწულებასა შენსა ყოვლითა  
გონიერებითა და სასორებითა?

მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.

კითხუა: ცხოვრებასა მინა შენისა ვიდრე სიკუდიდმდე  
ჰყოფა მორჩილებასა უფროსისასა, და  
ყოველთა ქრისტეს მიერ ძმათასა?

მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.

კითხუა: დაითმენა ყოველსა ძურის-ხილუასა,  
იწროებასა, ბოროტთა მიერ აღმორულსა  
შზაკუარებასა, სასუფლებულისათვის ცათასა?

მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.

